ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ალმა მატერ
უნივერსიტეტი

20 აპრილი, 2018 | პარასკევი, №4 (2219)

როგორ ხვდება მომავალ სასწავლო სემესტრს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

გუშინ, დღეს, ხვალ

ს ულ ცოტა ხნის წინ საუნივერსიტეტო საზოგადოებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გასული წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

რა პრიორიტეტები გამოიკვეთა 2017 წელს და როგორ ხვდება მომავალ სასწავლო სემესტრს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი? — ამის შესახებ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქალბატონი ნუნუ ოვსიანიკოვა ესაუბრა.

გვ. 2

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ხვირეული თსუ-ში 1978-2018

1978 წლის 14 აპრილს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, ქართველ საზოგადოებრიობასთან ერთად, დაიცვა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი

1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა; სსრკ-ის სახელმწიფო ენად რჩებოდა მხოლოდ რუსული ენა. 1978 წელს ქართველმა საზოგადოებამ მტკიცე პროტესტი გამოთქვა საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას წინ აღუდგა მთელი საქართველოს მოსახლეობა. თბილისში მოეწყო მასობრივი გამოსვლები და მსვლელობა. 1978 წლის 14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რუსთაველის გამზირისკენ 15 000-მდე ადამიანი დაიძრა. სტუდენტებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს სხვა მოქალაქეებიც შეუერთდნენ და რუსთაველის გამზირზე თითქმის 100 000 ადამიანი შეიკრიბა. ანალოგიური ვითარება იყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ მხოლოდ ორი გამოსავალი რჩებოდა — ან უნდა დაეღვარა სისხლი ან დათმობაზე წასულიყო. მოსკოვი იძულებული გახდა — დაეთმო და კონსტიტუციაში ცვლილება აღარ შევიდა. პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში კომუნისტურმა რეჟიმმა უკან დაიხია. ამ დღიდან 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა. ეს დღე 1978 წლის მოვლენების აღსანიშნავად 1990 წლიდან დაწესდა. 14 აპრილის მოვლენებიდან 40 წელი გავიდა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან ერთად ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მრავალფეროვანი, მასშტაბური და საინტერესო პროგრამა წარმოგვიდგინა.

ჩანართი გვ. 6-11

ნომერში

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ახალი დეკანი ჰყავს

გვ. 3

- თსუ-ის ფიზიკის ინსტიტუტში გამოგონებული ოზონოგენერატორებით არაერთი უცხოელი მეწარმე დაინტერესდა გვ. 4
- ჟურნალში განხილული სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები გვ. 5
- თამარ ზარანდიას კვლევები სანივთო სამართლის მიმართულებით გვ. 12

ქიმია, უნივერსიტეტი და მისი უდიდებულესობა - მეცნიერი!

გვ. 13

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (96/2018, 02.04.2018 წ.) თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით გამოცხადდა კონკურსი გვ. 15

როგორ ხვდება მომავალ სასწავლო სემესტრს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

გუშინ, დღეს, ხვალ

1-ლი გვ-დან

მაია ტორაძე

— ქალბატონო ნუნუ, რა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის გასული წლის ძირითადი პრიორიტეტები?

— უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მოქმედებს სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რაც, პირველ რიგში, სტუდენტის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საჭიროებებზე ორიენტირებულ ადმინისტრირებას გულისხმობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვა. სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება, მათი პრობლემების გადაჭრა ადმინისტრაციის უპირველესი ამოცანაა. ჩვენი ორიენტირებია: ღიაობა, ინოვაციურობა, გამჭვირვალობა.

გასულ წელს დიდი ყურადღება დაეთმო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ადმინისტრირების ინოვაციური მეთოდების დანერგვას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას. ამ ამოცანების გადაწყვეტა კი შესაძლებელია მხოლოდ სათანადო ფინანსური უზრუნველყოფის შემთხვევაში. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაგვეანალიზებინა — თუ რა რესურსებს ვფლობდით და როგორ უნდა გადაგვეწყვიტა, მწირი ბიუჯეტის პირობებში, დასახული ამოცანები. სამწუხაროდ, გვიწევს იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ ბოლო წლებში ფიქსირდება უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლის შემცირების ტენდენცია.

— რამ განაპირობა ეკონომიკური შემოსავლის შემცირება?

— როგორც მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური წარმოადგენს. ამ შემოსავლებით ფინანსდება აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება, კომუნალური გადასახადები, საგადასახადო გადასახადები, ოფისის ხარჯები, მივლინებები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის დამტკიცებისას არაერთხელ აღვნიშნავდი, რომ ფინანსური რესურსების კუთხით რთული მემკვიდრეობა გვერგო. არსებობდა შემოსავლის შემცირების ტენდენცია, რომელიც რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. კერძოდ, ბოლო წლებში შემცირდა აქტიური და სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტების რაოდენობა. გარკვეულწილად, შემოსავლის შემცირება განაპირობა პროგრამული დაფინანსების წესში შეტანილმა ცვლილებებმაც — უკვე აღარ ფინანსდებიან პროგრამული დაფინანსების ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტები, რამაც გამოიწვია 2017/2018 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტებიდან შემოსავლის შემცირება 900 000 ლარის ფარგლებში. ასეთ პირობებში კი, გარდამავალი ნაშთის ხარჯზე, ხარჯები შემოსავალზე მეტი იყო. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია გარდამავალი ნაშთის თანდათანობითი შემცირება, რამაც უნივერსიტეტის ფინანსურ მდგრადობას გარკვეული საფრთხე შეუქმნა.

— რა გზები დაისახა ამ პირობებში უნივერსიტეტის ფინანსური უზრუნველყოფისთვის?

— მოცემულ ეტაპზე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რამდენიმე გზაა: გაიზარდოს შემოსავალი, მოვახდინოთ ხარჯების ეკონომია, მოვიზიდოთ სახსრები გარე წყაროებიდან და მოვახდინოთ არსებული რესურსების კომერციალიზაცია. სწავლის საფასურის ოდენობის გაზრდა არ არის გამოსავალი. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით და სტუდენტების სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით (თუ როგორ უჭირთ სწავლის გადასახადის სრული ოდენობით გადახდა), დავუშვით შესაძლებლობა, რომ სტუდენტებს მათ მიერ შედგენილი გრაფიკის მიხედვით გადაეხადათ სწავლის სემესტრული საფასური. მართალია, სტუდენტების ფინანსური დავალიანება 5 მილიონ ლარს აღემატება, მაგრამ 4000-მდე სტუდენტს კიდევ ერთხელ მიეცა შანსი სწავლის გაგრძელებისა, რაც, ვფიქრობთ, უნივერსიტეტის მხრიდან მათთვის დიდი ხელშეწყობაა.

შექმნილ პირობებში აუცილებელია სახელმწიფო დონეზე დაფინანსების ამჟამად არსებული წესისა და პირობების შეცვლა. პროცესი ჩვენზე არაა დამოკიდებული, თუმცა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აქტიურადაა ჩართული აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პრობლემა უახლოეს დროში მოგვარდება.

ამგვარი არამყარი ფინანსური რესურსების პირობებში ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ხარჯების ეკონომიამ და სახსრების გარე წყაროებიდან მოზიდვამ. ამ გზით 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, 3%-ით შემცირდა მივლინების, ხოლო 18%-ით წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ხარჯები. ამასთან, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მივიღეთ 6 მილიონ ლარზე მეტი. გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტმა მოიპოვა 102 საგრანტო პროექტი, მათ შორის 8 — საერთაშორისო გრანტებიდან. გრანტებით მოზიდული თანხები 12 მილიონ ლარს აღემატება. ასევე მიმდინარეობს აქტივობები არსებული რესურსების კომერციალიზაციისათვის.

— რომელ პრიორიტეტულ მიმართულებებს მოხმარდა ეკონომიის ხარჯზე მიღებული სახსრები და რა გაკეთდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის?

— ხარჯების ეკონომიით მიღებული სახსრები, ძირითადად, მიმართული იქნა სარემონტო სამუშაოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის. განისაზღვრა ჩასატარებელი სამუშაოების პრიორიტეტები. კერძოდ, ბიოლოგების კორპუსში ჩატარდა გადახურვის სამუშაოები, დასრულდა მაღლივი კორპუსის ფანჯრების გამოცვლა, სასწავლო კორპუსებში გარემონტდა აუდიტორიები, კაბინეტები, ლაბორატორიები, სველი წერტილები და სხვა. ინფრასტრუქტურაზე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე საანგარიშო პერიოდში, სულ, 3 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

გარდა აღნიშნულისა, 2017 წლის ბოლოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის პროგრამების ფარგლებში, გაფორმდა ხელშეკრულებები და 5 829 877 ლარი გამოიყო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სარემონტო სამუშაოებისათვის, ასევე გამოყოფილია 577 629 ლარი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სარემონტო სამუშაოებისა და აღჭურვისათვის და 323 788 ლარი რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოებისათვის.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფის მხრივ. მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია და შესრულდა წინასწარი სამუშაოები სატელეფონო ინფრასტრუქტურის ციფრულით სრულად ჩანაცვლებისათვის, რაც საკომუნიკაციო ხარჯებს 75 %-მდე შეამცირებს. დაინერგა ინტერნეტ-როუმინგის საერთაშორისო სისტემა. 2017 წლის განმავლობაში შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა 300-მდე კომპიუტერული, 100-ზე მეტი საბეჭდი მოწყობილობა, 35 აუდიტორია აღიჭურვა პროექტორით, ეკრანით და ა.შ.

აქვე მინდა მადლობა ვუთხრა უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს არსებული ფინანსური რეალობის გათავისების, თანადგომისა და მხარდაჭერისთვის, რამაც საშუალება მოგვცა — ადმინისტრაციული ხარჯების ეკონომიით გამოთავისუფლებული თანხა მთლიანად მიმართულიყო უნივერსიტეტის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად.

— უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მეცნიერებაზე ზრუნვა და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება. რა საქმიანობა გასწია ამ მიმართულებით ადმინისტრაციამ და რა შედეგები გვაქვს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მხრივ?

— ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შემუშავდა აკადემიური თანამშრომლობის ფორმატი. საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის 23 ხელშეკრულება გაფორმდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ერთობლივ პროგრამებს. ამჟამად უნივერსიტეტში მოქმედებს 22 უცხოენოვანი პროგრამა, რომელთაგან 7 პროგრამა გასცემს დიპლომს ორმაგი აკადემიური ხარისხით. სხვადასხვა ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით მომზადდა და ევროკომისიაში დასაფინანსებლად წარვადგინეთ „ერაზმუს+“-ის საერთაშორისო კრედიტმობილობის 73 საერთაშორისო საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა ნახევარზე მეტი. ასევე, გაიზარდა უცხოელი სტუდენტების რიცხვიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება 200-მდე პარტნიორ უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული და მათთან ერთად ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროექტები. გასული წლის განმავლობაში უნივერსიტეტში გაიხსნა რამდენიმე თანამედროვე კვლევითი-სამეცნიერო ლაბორატორია და 2018 წელსაც ვგეგმავთ ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას.

რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფას, გასულ წელთან შედარებით, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე 2,5 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა.

— როგორც თქვენ განაცხადეთ, გასულ წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობა. კონკრეტულად რა გაკეთდა ამ კუთხით და რაში გამოიხატებოდა ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტების მხარდაჭერა?

— სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება ადმინისტრაციის საქმიანობის პრიორიტეტია. უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს სტუდენტური კვლევების, შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობაზე, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდენტური ღონისძიებების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს სტუდენტური ინიციატივების წახალისებას; სამეცნიერო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების პროექტების დაფინანსებას თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით; სტუდენტების ბიზნეს-იდეების მხარდაჭერას. შემუშავდა სტუდენტური ღონისძიებების დაფინანსების წესი, რომელმაც პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე გახადა.

2017 წელს, სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 780 000 ლარით დაფინანსდა 161 სტუდენტური პროექტი. მათ შორის, სამეცნიერო პროექტების დაფინანსებამ შეადგინა აღნიშნული პროექტის საერთო ბიუჯეტის 67%, ხოლო კულტურული და სპორტული ღონისძიებების სტუდენტური პროექტების დაფინანსებამ — 33%.

წარჩინებული სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდიით. სემესტრულად 618 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა 938 100 ლარის სახელმწიფო სტიპენდია. საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან 667 მაღალი აკადემიური შედეგების მქონე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენტი დაფინანსდა.

სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად დაფინანსდა 234 სტუდენტი, 500 დოქტორანტს კი გაეწია სწავლის გადასახადის შეღავათი.

განხორციელდა თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის პროექტები, როგორც უნივერსიტეტში, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. აღსანიშნავია, აგრეთვე, სტუდენტური და თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი „თსუ დესპანის“ მიერ გაწეული საქმიანობაც.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გადმოგვეცა და ექსპლუატაციაში შევიდა 320- ადგილიანი თანამედროვე სტანდარტების სტუდენტური საერთო საცხოვრებელი.

— ჩვენი საუბარის შესაჯამებლად მკითხველს კიდევ ერთხელ მოვუთხროთ — თუ რა სამუშაოები იქნა განხორციელებული 2017 წელს ადმინისტრაციის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად?

— 2017 წელს ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შემდეგ ძირითად მიმართულებებს გამოვყოფდი. კერძოდ,

ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით:

მაღლივ კორპუსში შეიცვალა ფანჯრები, კორპუსების მიხედვით შესრულდა სველი წერტილებისა და სახურავების სარემონტო სამუშაოები და დაიხარჯა 1 031 052 ლარი.

დაიწყო უნივერსიტეტის მეორე კორპუსისა და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გაუმჯობესდა უნივერსიტეტის აუდიტორიებისა და ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დაიხარჯა 1 370 022 ლარი.

გვ. 4

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ახალი დეკანი ჰყავს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა 30 მარტს ახალი დეკანი აირჩია.

არჩევნებში 3 კანდიდატი მონაწილეობდა. ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით არჩევანი შეაჩერა ეკონომიკის აკადემიურ დოქტორზე, თსუ-ის პროფესორზე გიორგი ღაღანიძეზე, რომელიც აცხადებს, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს საქართველოში რეალური კონკურენტი არ ჰყავს, როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მიმართულებით. მას სჯერა, რომ უახლოეს მომავალში ამ მიმართულებით ფაკულტეტი რეგიონის ერთ-ერთი უპირობო ლიდერი გახდება. იგი ფაკულტეტს შემდგომი 4 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

თუ თვალს გადავავლებთ ბატონ გიორგი ღაღანიძის მიერ წარმოდგენილ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარების კონცეფციას, მასში დეტალურად არის გაწერილი ფაკულტეტის განვითარების გეგმა, რომლის მიხედვით მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობას.

თუ რას გეგმავს ფაკულტეტის გასაძლიერებლად, ამაზე ახალი დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე *გვესაუბრება.*

გიორგი ღაღანიძე

თამარ დადიანი

— ბატონო გიორგი, თქვენ მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია ბევრ საგულისხმო, მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს მოიცავს. როგორ აპირებთ ამ საკითხების გადაწყვეტას და რა შედეგებს უნდა ველოდოთ მისი წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში?

— ჩემი საქმიანობის მთავარი მიზანი თსუ-ის განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული 4 მიმართულების: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის, საგანმანათლებლო საქმიანობის, სტუდენტური ცხოვრებისა და ინსტიტუციური განვითარების მიხედვით მუშაობის გააქტიურება და გაძლიერება იქნება.

კონცეფცია მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ყველა მხარეს, რომლის განხორციელების შემთხვევაში რეალურად ამაღლდება არა მარტო სასწავლო პროცესი, არამედ მეცნიერული კვლევების დონეც. ჩემი აზრით, ეს ორივე მნიშვნელოვანი და ორგანული კომპონენტია უნივერსიტეტის განვითარებისა და ყოველდღიური ფუნქციონირებისათვის. აქ დასმული აქცენტები ფაკულტეტის ადმინისტრაციას თავისი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის საშუალებას მისცემს, ასევე, ხელს შეუწყობს საერთაშორისო პროექტებში ქართველი მეცნიერების ჩართულობასა და მათი ნაშრომების, კვლევების პოპულარიზაციას.

— ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურების მხრივ რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ?

— სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის მიმართულებით თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი გააააქტიურებს მუშაობას საერთო საუნივერსიტეტო მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის შემუშავებისა და დანერგვის მხრივ. ფაკულტეტის პროფესორებს ექნებათ მაქსიმალური ხელშეწყობა — მონაწილეობა მიიღონ მაღალ რეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ამ მიზნით დაინერგება სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების 100, 70 და 50%-იანი სისტემები. თსუ-ის სამეცნიერო დეპარტამენტთან ერთად განისაზღვრება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების რეიტინგები, რაც საფუძვლად დაედება დაფინანსების განაკვეთის განსაზღვრას.

ასევე მნიშვნელოვანია ფაკულტეტის პერიოდული გამოცემის დარეგისტრირება ERIHPLUS-ში, ხოლო შემდგომ ეტაპზე აუცილებელი იქნება მისი ისეთ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში განთავსება, როგორიცაა SCOPUS-ი. ამ მიზნით აუცილებელია საფაკულტეტო პერიოდული გამოცემის ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება.

2-3 წელიწადში ერთხელ ფაკულტეტი თავისი ძალებით და დაფინანსებით შრომის ბაზრის კვლევებს ჩაატარებს. აღნიშნული სამეცნიერო პროდუქტი იქნება თსუ-ის ინტელექტუალური საკუთრება, თუმცა, შესაბამისი ანაზღაურების შემთხვევაში, შესაძლებელია ამ კვლევის შემდგომი კომერციალიზაცია.

დიდი ყურადღება მიექცევა დოქტორანტების აღზრდას. უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალური კომისია, რომელიც მოკლე ვადაში შეისწავლის დოქტორანტების პრობლემებს, რომელსაც შემდგომ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და მოზიდვის სრულყოფილი სისტემის შექმნას, რომელიც ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლების წარმატებას განაპირობებს.

უნივერსიტეტში ახალგაზრდა კადრების შემოდინების საკითხი პრობლემური გახდა. მეცნიერება 30-40 წლის წინ იყო პრესტიჟული საქმიანობა, დღეს კი ასე აღარ არის... სერიოზული გამოწვევების წინაშე დავდექით. ისეთი ახალგაზრდები უნდა შევარჩიოთ, ვინც მართლა არის დაინტერესებული აკადემიური საქმიანობით. ამჟამად დოქტორანტურის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად მისი ფასიანი ხასიათი უნდა იქნას მიჩნეული. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მოსაზრებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია ფაკულტეტზე ჩამოყალიბდეს სპეციალური ჯგუფი (პროფესურა, მოქმედი დოქტორანტები, დოქტორები, რომლებმაც დისერტაციები დაიცვეს უახლოეს წარსულში), რომელიც 3 კვირის განმავლობაში წარმოადგენს მოსაზრებებს დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების შემდგომი სრულყოფის შესახებ. შემუშავებული რეკომენდაციები საბოლოო განხილვისათვის წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.

— ფაკულტეტის წინსვლას და პოპულარიზაციას სასწავლო პროცესის, სასწავლო პროგრამების სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაც განსაზღვრას. როგორ ხედავთ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებას?

— რაც შეეხება საგანმანათლებლო საქმიანობას, სასწავლო მასალაში პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ხვედრითი წილი უნდა გაიზარდოს. უნდა მოხდეს ახალი ტექნოლოგიური პროდუქტის სწავლის პროცესში გამოყენება, რომელსაც ფართოდ იყენებს ბიზნესი. აუცილებელია, სასწავლო ქეისებში ქართული ბიზნეს-რეალობის გათვალისწინება. სტუდენტებს უნდა მიეცეთ წვდომა უახლეს, საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელოებზე — ამ პრობლემას ჩვენ სხვადასხვა კუთხით უნდა შევეხოთ. ნაბეჭდი სახელმძღვანელოები დღეს ფუფუნებაა და ყველას არ აქვს საშუალება ამ წიგნებით ისწავლოს. აქედან გამომდინარე, სტუდენტებისთვის ელექტრონული ვერსიები უფრო ხელმისაწვდომი იქნება.

უნდა გავააქტიუროთ მუშაობა სასწავლო პრაქტიკების მიმართულებითაც. აქ უნდა გამოვიყენოთ დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკა, სადაც ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არ აქვთ უფლება — სტუდენტების გარკვეულ ნაწილს უარი უთხრან სტაჟირებაზე. ჩვენთან სტუდენტების სტაჟირება ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებეღობაზეა დამოკიდებული. მართალია, დღეს თსუ-ის ხელმძღვანელობის მიერ გააქტიურებულია ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმება, მაგრამ ეს არ ავალდებულებს მათ სტუდენტები სტაჟიორებად აიყვანონ. ამდენად, პრაქტიკული კომპონენტი უნდა გავაძლიეროთ.

მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის სავალდებულო საკვირაო დატვირთვის შეცვლა მოდელით — 6-8-10 (არსებული თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით), ხოლო პერსპექტივაში მისი დაყვანა 4-6-8 მოდელზე. ამ მოდელის მიხედვით პროფესურას მეტი დრო რჩება კვლევისათვის. პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის დატვირთვაში უნდა განისაზღვროს დოქტორანტებთან და მაგისტრებთან მუშაობის მოცულობა, კერძოდ კი სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა. ამასთან, მუდმივ დაკვირვებას დაექვემდებარება ლექციებისა და სემინარული მეცადინეობების ჩატარება, მათი ხარისხი და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ეთიკური ნორმების დაცვა.

სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფა წარმოუდგენელია სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაციის გარეშე. განვითარების მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება სტუდენტების მოზიდვას საზღვარგარეთიდან. ამ მიზნით ფაკულტეტზე უნდა დამუშავდეს და საერთაშორისო პროგრამული აკრედიტაცია უნდა გაიაროს ინგლისურენოვანმა საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებმა.

სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაციის ასევე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ერთობლივი და ორმაგი ხარისხის პროგრამების ხელშეწყობა. გამომდინარე არსებული პრაქტიკიდან, პრიორიტეტულად უნდა მივიჩნიოთ ორმაგი ხარისხის პროგრამები.

კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია აგრეთვე სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება. ეს არის სტუდენტთა ინფორმირების პოლიტიკის გაუმჯობესება და სტუდენტთა მომსახურებაში „ერთიანი ფანჯრის“ პრინციპის დანერგვა; ასევე სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისების განვითარება. აუცილებელია სტუდენტთა თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობაც, სტუდენტების პრობლემების დროული იდენტიფიცირება და მათი აზრის შესწავლა.

ფაკულტეტი ყოველწლიურად გაზრდის დანახარჯებს სტუდენტთა აქტივობებისათვის, წახალისდება მათი ინიციატივები და საინტერესო პროექტები. მოხდება სტუდენტთა მაქსიმალურად უზრუნველყოფა თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით.

სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში მნიშვნელოვანია, რათა მათ მკვლევრისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები შეიძინონ. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის ეტაპზე მათი ჩართულობა გარკვეული მარტივი ამოცანების შესრულებით განისაზღვრება, ხოლო დოქტორანტურაში ეს აუცილებელია, რადგან სადოქტორო ნაშრომი კვლევის შედეგი უნდა იყოს. ზოგადად, სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში უნდა იყოს მაღალი. მე არ მჭირდება პასიური სტუდენტები!

— ფაკულტეტის წარმატებულ ფუნქციონირებას განაპირობებს აგრეთვე ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება — ინსტიტუციური განვითარება. ამ მხრივ ხომ არ გეგმავთ რაიმე ცვლილებას?

— ჩემი მოღვაწეობის პერიოდში დაუშვებელი იქნება სახელფასო ფონდის შემცირება. პირიქით, მიზანშეწონილად მიმაჩნია — განვიხილო სახელფასო ფონდის ზრდის შესაძლებლობა ყველა თანამშრომლისათვის.

ჩვენი ინფრასტრუქტურა, ძირითადად, ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ შენობა აგებულია 60-იანი წლების ბოლოს. ფაკულტეტს არ გააჩნია იმის სახსრები, რომ ამ პრობლემას თვითონ გაუმკლავდეს. ინფრასტრუქტურა უნდა გაუმჯობესდეს.

ფაკულტეტის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნდა გააქტიურდეს მუშაობა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებთან და ბიზნეს-სკოლებთან კავშირების დამყარებისა და გაღრმავების მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთობლივი ან ორმაგი ხარისხის მინიჭების პროგრამების განხორციელებას. ამ საკითხების გარდა, კონცეფცია კიდევ ბევრ საგულისხმო კომპონენტს შეიცავს, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესის სრულყოფა-განვითარება.

— თსუ-ში თქვენი საქმიანობა უკვე ათეულ წელს ითვლის. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რომელიც თითქმის ყველა მიმართულებას შეეხო. თქვენი გადმოსახედიდან, სად არის ფაკულტეტის „სუსტი რგოლი“?

— ქართული რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ ტრადიციული უნივერსიტეტი ვართ. ამაში არის ჩვენი სიძლიერეც და გარკვეული სისუსტეც. სიძლიერე არის ტრადიციებისადმი ერთგულება, სისუსტე კი ის, რომ ნელა ვიღებთ ნოვაციებს. ჩვენ მწარე გამოცდილება გვაქვს — განათლების რეფორმას ნაკლებკომპეტენტური ხალხი ატარებდა და ბევრი რამ ზერელედ იქნა გააზრებული. განათლების სისტემა თავისი არსით კონსერვატორულია... ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ცოდნა კონკრეტულ სტუდენტამდე მიიტანო.

თსუ-ის ფიზიკის ინსტიტუტში გამოგონებული ოზონოგენერატორებით არაერთი უცხოელი მეწარმე დაინტერესდა

ნატო ობოლაძე

თსუ-ის ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (დირექტორი შოთა მირიანაშვილი) ახალი თაობის ჰიბრიდული ტიპის, ინოვაციური ტექნიკის შემუშავება და კონსტრუირება მიმდინარეობს. ინსტიტუტის ფოტოენერგეტიკის განყოფილებაში (გამგე ვასილ შველიძე) მკვლევართა და კონსტრუქტორთა ჯგუფმა (წამყვანი კონსტრუქტორი — მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ჯანო ბურჯანაძე; მეცნიერ-თანამშრომლები — მიხეილ ელიზბარაშვილი, ჟორა გაბრიჭიძე, გურამ ტოგონიძე) ინსტიტუტის პატენტებში დაცული ინოვაციური ტექნოლოგიების ბაზაზე სხვადასხვა დანიშნულების და წარმადობის ოზონოგენერატორები შექმნეს.

ახალი ოზონოგენერატორების მოდელები თავისი უცხოური ანალოგებისგან გამოირჩევიან არა მხოლოდ ექსპლუატაციური მედეგობით, არამედ იმითაც, რომ 1 გრამი ოზონის წარმოებაზე 3-ჯერ ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ. გარდა ამისა, ნახევარგამტართა ფიზიკის ინსტიტუტში შექმნილია ოზონოგენერატორების რამდენიმე მოდელი, რომელიც მზის ენერგიის ხარჯზე ახდენენ ოზონის გენერირებას.

ოზონი, როგორც ყველაზე ძლიერი ანტიბაქტერიული და ანტივირუსული საშუალება, სულ უფრო და უფრო ფართო გამოყენებას ჰპოვებს საზოგადოების საქმიანობის მრავალ სფეროში და, მათ შორის, სოფლის მეურნეობის, კვების პროდუქტების და ფარმაცევტულ მრეწველობაში, მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნაში (ჰაერი, სასმელი წყალი), ასევე ბიბლიოთეკებში, ხელნაწერთა საცავებში, მუზეუმებში დაცული ექსპონატების დასაცავად, რათა საერთო მიკრობული რიცხვის მნიშვნელობა ნორმას არ აღემატებოდეს.

ოზონის დაშლის პროდუქტი მოლეკულური და ატომური ჟანგბადია.

„პირველი პატენტი საქართველოში ჩვენ ავიღეთ ჯერ კიდევ 1989 წელს. მერე ნელ-ნელა გავაუმჯობესეთ და სხვადასხვა დანიშნულების ოზონოგენერატორები გავაკეთეთ. დღეს ჩვენი ოზონოგენერატორები სხვა ანალოგებისგან პრინციპულად განსხვავდება. ფაქტობრივად, მსოფლიოში რეკორდსმენები ვართ, რადგან ჩვენი ოზონატორები 1 გრამი ოზონის წარმოებაში ყველაზე ნაკლებ ენერგიას ხარჯავენ. ჩვენს გამოგონებებს შორის საინტერესოა ის ოზონოგენერატორები, რომლებიც მზის ენერგიაზე მუშაობენ. მათი გამოყენება შესაძლებელია მეფუტკრეობაში; გვაქვს მექანიკურებიც, რომელიც ხელის ტუმბოთი მუშავდება და ვენახის შეწამვლის დანიშნულება აქვს; შევქმენით სამხედრო ოზონატორი — აირწინაღებიც. ჩვენ ოზონოგენერატორებს ნახევარგამტარების ფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე მცირე მასშტაბებით ვაწარმოებთ. მაგალითად, „ლიკანის“, „ვარციხის“, „საირმის“, „კასტელის“, „ნატახტარის“ საწარმოებში ჩვენი გაკეთებული ოზონოგენერატორები ფუნქციონირებს. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ქლორი, როგორც მადეზინფიცირებელი საშუალება, დიდი ხანია ჩაანაცვლა ოზონმა — ჩვენ ამის შესახებ მივწერეთ თბილისის მერს კახი კალაძეს, რომელმაც ინტერესი გამოთქვა. იმ შემთხვევაში, თუ თბილისის წყლის გაწმენდა ოზონოგენერატორების საშუალებით დაიწყება, თბილისელები უსუფთავეს წყალს მიიღებენ“, — განაცხადა ჯანო ბურჯანაძემ.

თსუ-ის ნახევარგამტარების ფიზიკის ინსტიტუტში გამოგონებული ოზონოგენერატორებით არაერთი უცხოელი მეწარმე დაინტერესდა. ინსტიტუტის მეცნიერებმა შეთავაზება მიიღეს ტაილანდიდან, ასევე საუდის არაბეთიდანაც, თუმცა პირობა ასეთია — ოზონოგენარტორების წარმოება ქვეყნებში უნდა დაიწყოს. მეცნიერები ამბობენ, რომ საქართველოში ოზონოგენერატორების წარმოების დასაწყებად კარგი ბაზა არსებობს თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში, თუმცა ამისთვის საწყისი კაპიტალის მოძიებაა საჭირო. მათ აღნიშნული წინადადებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც მიმართეს, მაგრამ ხელისუფლება ინიციატივით არ დაინტერესებულა.

„სოფელ კუმისში მაქვს საცდელი მეურნეობა — ვენახი გავაშენე და მადენზიფიცირებლად ოზონირებულ წყალს ვიყენებ, მივიღე არაჩვეულებრივი შედეგი. ამის თაობაზე ერთ-ერთ რადიოშიც ვისაუბრეთ და შედეგად საქართველოს რამდენიმე კუთხიდან შეკვეთაც მივიღეთ. ონზონოგენრატორების სოფლის მეურნეობაში დანერგვის საშუალებით თავად გლეხებიც საკმაოდ დიდ თანხას დაზოგავენ, რადგან აღარ მოუწევთ ძვირადღირებული შხამ-ქიმიკატების ყოველწლიურად შეძენა. ხელისუფლებას შევთავაზეთ, რომ დაგვხმარებოდა წარმოების დაწყებაში, თუმცა უარი გვითხრეს. არადა, თავისუფლად შეგვიძლია გავხდეთ ოზონოგენერატორების ექსპორტიორი ქვეყანა. უცხოელი ინვესტორები ინტერესდებიან, მაგრამ უნდობლობის გამო საქართველოში ფინანსების დაბანდებაზე უარს ამბობენ. რაც შეეხება მათ ქვეყნებში ჩვენს წასვლას და იქ წარმოების დაწყებას, ამ შემთხვევაშიც ჩვენი სახელმწიფოსგან მხარდაჭერა და გარანტიები გვჭირდება“, — განაცხადა თსუ-ის ნახევარგამტარების ფიზიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ჟორა გაბრიჭიძემ.

აღსანიშნავია, რომ ოზონოგენარტორების წარმოების დაწყების შემთხვევაში ფინანსურ სარგებელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც იღებს. როგორც თსუ-ის ნახევარგამტარების ინსტიტუტში გვითხრეს, მოგებიდან მიღებული შემოსავლის 10% თსუ-ის ბიუჯეტს ეკუთვნის.

თსუ-ის ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ახალი თაობის ჰიბრიდული ტიპის, ინოვაციური ტექნიკის შემუშავებისა და კონსტრიურების პროცესში ინტენსიურად არის ჩართული გამოყენებითი ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფიც.

როგორ ხვდება მომავალ სასწავლო სემესტრს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

გუშინ, დღეს, ხვალ

მე-2 გვ-დან

ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვის ჩვენი სახსრებით განხორციელდა 3 344 238 ლარის სამუშაოები, ხოლო სახელმწიფოსაგან მივიღეთ 6 731 294 ლარი. გარდა ამისა, გადმოგვეცა 6 498 892 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან კოორდინირებულად გრძელდება უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული ქონების გადმოცემის პროცედურები.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კუთხით:

დაინერგა საქმის წარმოების და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

მაღლივ კორპუსში დასრულდა ქსელური ინფრასტრუქტურის მოდიფიკაცია. შეიცვალა ქსელების არქიტექტურა, ყველა აუდიტორიაში მოხდა ინტერნეტის ქსელის მიყვანა და სართულებზე დამონტაჟდა ინტერნეტთან წვდომის უსადენო მოწყობილობები.

დაინერგა სააუდიტორიო რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა. სტუდენტებისთვის შეიქმნა საერთო საცხოვრებლების ონლაინ რეგისტრაციის სისტემა.

ორგანიზაციული მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად:

აუდიტორულმა კომპანიამ „Prie Waterhoue Coopers“ წარმოადგინა დასკვნა უნივერსიტეტის ორგანიზაციული ეფექტიანობის ანალიზის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაისახა სამოქმედო გეგმა შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად და ეფექტიანობაზე დამყარებული ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად.

უზრუნველვყავით ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისათვის მასალების დამუშავება და წარდგენა.

სტუდენტური ცხოვრების კუთხით:

ლისის ტბაზე ფუნქციონირება დაიწყო სტუდენტთა კეთილმოწყობილმა საერთო საცხოვრებელმა და სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა იცხოვრონ კომფორტულ გარემოში;

აღსანიშნავია, რომ მოგვარდა სტუდენტების კვების საკითხი და უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში ფუნქციონირება დაიწყო კვების ოთხმა ობიექტმა.

ბაგებისა და ლისის ტბის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ამოქმედდა კომპიუტერული რესურს-ცენტრი.

დამზადდა და სტუდენტებს გადაეცათ მრავალფუნქციური გამოყენების სტუდბილეთები.

გაიზარდა სტუდენტთა ჩართულობა უნივერსიტეტის ინსტიტუციურ გაცვლით პროექტებში და სტუდენტები გაიგზავნა დასავლეთ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე ჩინეთის, სხვადასხვა 100-მდე უნივერსიტეტში.

სრულად დაფინანსდა „ერაზმუს+“-ის პროექტის ფარგლებში 222 სტუდენტი.

შეიქმნა ახალი ვებ-გვერდის კონცეფცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს განახლებული ვებ-გვერდი იყოს გაცილებით მოქნილი, ინფორმაციული, მომხმარებელზე ორიენტირებული და პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

შემუშავდა სტუდენტური ღონისძიებების დაფინანსების ახალი წესი.

მნიშვნელოვანია, რომ საუნივერსიტეტო სიახლეებზე, თსუ-ში მეცნიერებისა და სტუდენტების საქმიანობის თაობაზე და მათ წარმატებებზე მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია საზოგადოებას. 2017 წლის განმავლობაში მედია საშუალებებში გავრცელდა 6000-მდე ინფორმაცია, სტატია, ტელე და რადიო სიუჟეტი, გადაცემა უნივერსიტეტისა და სტუდენტური ცხოვრების შესახებ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ 2017 წელს დაარსდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება (ფონდი) და წარმატებით განხორციელდა უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებული აქტივობები.

— როგორია მომავალი წლის გეგმები?

— სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, დაწყებულია შემდეგი აქტივობები: მიმდინარეობს ფინანსური რესურსების მობილიზება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; საუნივერსიტეტო მასშტაბით სრულყოფილი სახელფასო პოლიტიკის შემუშავების უზრუნველსაყოფად; ინოვაციური პროექტებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად; ასევე, ზრუნვა მათ კომერციალიზაციაზე; ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარების ფინანსური უზრუნველყოფისათვის; მიმდინარეობს ღონისძიებები სტუდენტთა მომსახურების სერვისების გაუმჯობესების, სტუდენტური საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-სპორტული პროექტებისა და აქტივობების ფინანსური მხარდაჭერისათვის. მიმდინარეობს სახელმწიფოსაგან პროგრამული დაფინანსების მოპოვების და ინვესტორების მოძიების სამუშაოები. „მცირე საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში, საერთაშორისო ცენტრის დაფინანსებით, სტუდენტური ინიციატივების წახალისებასა და სტუდენტების ბიზნეს იდეების მხარდასაჭერად შეიქმნება „ინოვაციური ცენტრი“. გრძელდება სამუშაოები სპეციალური სასწავლო საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის სპეციალური გარემოს შესაქმნელად.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ წლევანდელი წელი განსაკუთრებულია — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. უნივერსიტეტი იყო და რჩება ქვეყანაში უმაღლესი განათლების პირველ და მთავარ კერად. ჩვენ ვამაყობთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებულია არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მისი პოზიცია გაუმჯობესდა მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემაში. უნივერსიტეტი 2018 წლის საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში შედის (თჰე .შ.ეწსჭორლდ ღეპორტ) და მას საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ლიდერის პოზიცია უკავია.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მომავალ წელსაც შეეცდება, რომ ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო განვითარებას, საუნივერსიტეტო აქტივობებს.

ჟურნალში განხილული სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

ნატო ობოლაძე

თსუ-ის იურიდიულმა ფაკულტეტმა ჟურნალ „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხების“ მე-2 გამოცემის პრეზენტაცია გამართა. ჟურნალში განხილულია ძალადობით დანაშაულთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. კერძოდ, მასში ახლებურადაა გაანალიზებული უმოქმედობის მიზეზობრიობის სადავო საკითხი სატრანსპორტო დანაშაულთან მიმართებაში, ასევე ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები. აქვე საუბარია ძალადობის მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებაც. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხების“ მე-2 გამოცემაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებზე როგორც თეორეტიკოსი, ასევე პრაქტიკოსი იურისტები მუშაობდნენ. შესაბამისად, ავტორებმა თითოეული თემა სამართალწარმოებისას წამოჭრილი პრობლემებიდან გამომდინარე შეარჩიეს და საზოგადოებას განსახილველად შესთავაზეს.

ჟურნალების პრეზენტაციაზე ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი — არასრულწლოვანთა სწორად აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და ოჯახების ტიპოლოგიებიც მიმოიხილეს. ამ საკითხზე მოხსენება ფსიქოლოგმა ნანა ჩაჩუამ წარმოადგინა.

ღონისძიებაზე ასევე გაიმართა თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოების მიერ გამოცემული სისხლის სამართლის სტუდენტური ჟურნალის პრეზენტაცია, რომელიც თსუ-ის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

როგორც აღინიშნა, ჟურნალში გამოქვეყნებულია პროფესორ ნონა თოდუას სტატია „უმოქმედობის მიზეზობრიობის ზოგიერთი სადავო საკითხი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში“.

„ჩემი სტატია ეძღვნება უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხს სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენისას, ანუ მძღოლმა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა და არ დაეხმარა მას. როგორ უნდა მოხდეს ამ დროს მისი ქმედების კვალიფიკაცია? ეს საკითხი ჩემს სტატიაში სამ ვარიანტად მაქვს განხილული. თუმცა, ყურადღებას შევაჩერებ შემთხვევაზე, როდესაც მძღოლმა, მისი გაუფრთხილებლობის გამო, მძიმედ დაშავებულში ამოიცნო მტერი, რომლის მოკვლა დიდი ხანია სურდა და შეგნებულად მიატოვა დახმარების გარეშე. ბოლო პერიოდამდე ჩემს ნაშრომებში ვასაბუთებდი — თუ დადგინდებოდა, რომ მძღოლის მიერ დროული დახმარების შემთხვევაში სასიკვდილო შედეგი აცილებული იქნებოდა, მაშინ ასეთი ქმედება უნდა დაგვეკვალიფიცირებინა სისხლის სამართლის კოდექსის 276 მესამე ნაწილით (რომელიც ითვალისწინებს მძიმე დაზიანებას) და 108 მუხლით, როგორც დამთავრებული მკვლელობა. გამოდის, რომ ჩემდა უნებურად ვიხრებოდი სუბიექტური თეორიისაკენ. შემდგომმა კვლევამ კი მიმიყვანა იმ აზრამდე, რომ ეს შედეგი (სიკვდილი) მკვლელობად არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ იგი უნდა შევრაცხოთ სსკ 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით. რას ემყარება ჩემი პოზიცია? როდესაც მძღოლი ტოვებს დაშავებულს ადგილზე და გარბის, სახეზეა უმოქმედობა. უმოქმედობის მიზეზობრიობა კი არის პრობლემური, რადგან, განსხვავებით მოქმედებისაგან, უმოქმედობა არასოდეს არის მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა. მოქმედებისას მიზეზობრიობას სულ სხვა ძალა წარმართავს. მოცემულ შემთხვევაში მისი წარმმართველი ძალა იყო ჯანმრთელობის ის დაზიანება, რაც გამოიწვია მძღოლის წინარე ქმედებამ (ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დარღვევამ). შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში საერთოდ არ უნდა დავიწყოთ კვლევა-ძიება იმაზე, მძღოლს დროული დახმარება რომ აღმოეჩინა, შეძლებდა თუ არა მართლსაწინააღმდეგო შედეგის აცილებას. ამ შემთხვევაში უნდა ვიკვლიოთ, არის თუ არა მძღოლის მიერ წესების დარღვევით მიღებული ტრავმა დაშავებულის სიკვდილის მიზეზი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი უნდა წავიკითხოთ შეზღუდულად“, — განაცხადა ნონა თოდუამ.

ჟურნალ „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხების“ მე-2 გამოცემაში, ასევე, შესულია სხვადასხვა სტატია: სალომე შენგელიას — „ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით“; ლელა მეტრეველის — „ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები“; სამართლის დოქტორის მარინა მესხის სტატია „ფემიციდი — საკანონმდებლო რეგულირების გამოცდილება და გამოწვევები“. მარინა მესხმა, ასევე, შეაფასა სტუდენტურ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები, რომლის ერთ-ერთი რედაქტორიც თავად გახლდათ.

„მე, როგორც რედაქტორი, სტუდენტების სტატიებს ყურადღებით გავეცანი. მინდა ხაზგასმით და სიამოვნებით აღვნიშნო, რომ მათი ხედვა, წერის კულტურა, აზროვნების დიაპაზონი ნამდვილად სანაქებოა. დარწმუნებული ვარ, ეს ჟურნალი საკუთარ სიტყვას იტყვის“, — განაცხადა მარინა მესხმა.

ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სასამართლოებში ოჯახური ძალადობის სისხლის სამართლის საქმეების განხილვა დომინირებს. მოსამართლე ელენე გოგუაძის ინფორმაციით, ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული სახის დანაშაულმა მოიმატა, არამედ მიუთითებს სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვიანობის სტატისტიკის ზრდაზე. მოხსენების („აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე“) წარდგენისას ელენე გოგუაძემ, აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად სავარაუდო მოძალადისთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდება დაასახელა.

„დომინირებს აზრი, რომ ოჯახურ ძალადობასთან საბრძოლველად აუცილებელია — მოძალადე პატიმრობაში დავტოვოთ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილების მიღებას არამიზანშეწონილად მივიჩნევ. აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას აუცილებელია — გავითვალისწინოთ ოჯახში არსებული კონფლიქტის ხარისხი, ბრალდებულის პიროვნება, სავარაუდო მოძალადის, ოჯახში დაბრუნების შემდეგ, დანაშაულის გამეორების ალბათობა. მოძალადეს რომ შეეფარდოს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა — ეს არ არის გამოსავალი. ჩემს სტატიაში, ასევე, განხილულია 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები — თუ რამდენად დომინირებს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის შეფარდების საკითხი და შემდეგ სასამართლო რა გადაწყვეტილებას იღებს ბრალდების მხარის მიერ შემოტანილ შუამდგომლობებთან დაკავშირებით“, — აღნიშნა ელენე გოგუაძემ.

მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა სტატიაში („ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში“) დანაშაულის განხილვისას სასამართლოში წამოჭრილი პრობლემები 8 პუნქტად ჩამოაყალიბა. ყველაზე აქტუალურ საკითხად კი მიიჩნია დაზარალებულის უფლება — არ მისცეს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენება.

„ეს გახლავთ ის საკითხი, რომელიც დღეს აქტუალურია და სასამართლო არის ხელფეხშეკრული. ეს პრობლემა იწვევს იმას, რომ მოძალადის დასჯა ვერ ხდება და, შესაბამისად, ამით მსხვერპლის ინტერესიც დაუცველია. რა უნდა ქნას სასამართლომ? ამაზე პასუხი არ მაქვს და ვერც ვერაფერს ვიზამთ, თუ სხვა მექანიზმები არ ამოქმედდა. ჩვენ არავის კომპეტენციაში არ ვერევით, საზოგადოებას ვთავაზობთ განიხილოს წინადადება, რომელიც გამოსავლად მიგვაჩნია — დაზარალებულს შეეზღუდოს უფლება — არ მისცეს ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ მხოლოდ ოჯახური ძალადობის კატეგორიის საქმეებში, ვიდრე უფრო მეტად არ დაიხვეწება სამართლებრივი კულტურა. ვფიქრობ, თუ საზოგადოებას ამ წინადადებას სწორად მივაწვდით, მტკივნეულად არ მიიღებს“, — განაცხადა ბადრი კოჭლამაზაშვილმა.

ოჯახური ძალადობა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირდაპირ არ არის მიმართული ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მისამართით, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მათ ფსიქოლოგიაზე და პიროვნების ფორმირებაზე. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მოძალადის პირდაპირი მსხვერპლი სწორედ ისინი არიან, ან თავად არასრულწლოვნები ხდებიან მოძალადეები.

„XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ აღიარა ბავშვთა მიმართ ძალადობის ფენომენი. თუმცა, დასამალი არ არის, რომ დღესაც კი ბევრ ქვეყანაში არ არსებობს სამართლებრივი ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა არასრულწლოვანების დაცვას ნებისმიერი სახის ძალადობისგან. გასულ წელს, ძალადობასთან დაკავშირებით, გარკვეული ცვლილებები განხორციელდა ჩვენს კანონმდებლობაში, მაგრამ არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობას საკმარისი ყურადღება არ დასთმობია. სტატიაში („არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები“) განვიხილე ბავშვთა მიმართ ძალადობის თითქმის ყველა ფორმა, ასევე, პრევენციული მექანიზმებიც. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ვენეციის კომისიამ დაწერა დასკვნა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესახებ, სადაც ერთ-ერთი ყველაზე მთავარი შენიშვნა და რეკომენდაცია იყო ის, რომ საქართველოს კონსტიტუციის პროექტი არ შეიცავდა ბავშვთა უფლებებს. აუცილებელია, კონსტიტუციაში ბავშვი აღნიშნული იყოს, როგორც უფლებათა სუბიექტი და არა — როგორც მზრუნველობის ობიექტი. სასიხარულო სიახლე ის გახლავთ, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით საქართველო უერთდება გლობალური პარტნიორობის პლატფორმას, რომლის მიზანიც ამ საკითხებისადმი ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობაა“, — განაცხადა თამარ მახარობლიძემ.

რა იწვევს ადამიანში მოძალადის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას? რა არის დანაშაულებრივი ქმედებების მიზეზი, რომლის გამოწვეულ შედეგებთან გამკლავება საზოგადოების წევრებს საკუთარი სოციალური და პროფესიული სტატუსის შესაბამისად უწევთ. ღონისძიებაზე ძალადობის პირველი იმპულსის გამოწვევის თემაზე საუბარი ფსიქოლოგმა ნანა ჩაჩუამ ოჯახის ინსტიტუტის განხილვით დაიწყო.

„ოჯახს დიდი დატვირთვა აქვს. სულ არის 4 ტიპის ოჯახი — ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური და ნეიტრალური. ტიპოლოგია კლასიფიცირებულია იმის მიხედვით, თუ როგორ არის გადანაწილებული სითბო და კონტროლი ოჯახის წევრებზე, განსაკუთრებით არასრულწლოვნებზე. ავტორიტეტულ ოჯახში სითბო მეტია, თუმცა კონტროლიც აუცილებლად არის. მაგრამ ვინ არის ავტორიტეტი? თანამედროვე საზოგადოებაში მიღებულია მცდარი აზრი, რომ ვინც მატერიალურად უზრუნველყოფს ოჯახს, ავტორიტეტიც ის არის. ასეთ შემთხვევაში ოჯახს აუცილებლად გაუსხლტება მოზარდი, მისი ქცევა ოჯახის წევრების ოპოზიციური ხდება და ის აუცილებლად გავა ქუჩაში. ნამდვილ ავტორიტეტს ქმნის მოზარდებთან ურთიერთობაში გრძნობის ამოცნობა, ემპათიურობა. ავტორიტარულ ოჯახში კონტროლი მეტია და სითბო შეიძლება საერთოდ არ იყოს, ლიბერალურ ოჯახში სითბოა, კონტროლი — არა, ნეიტრალურში კი არც სითბოა და არც კონტროლი. ამ ოთხიდან სამ შემთხვევაში — ავტორიტარულ, ლიბერალურ და ნეიტრალური ტიპის ოჯახებში მოზარდებზე ხდება ძალადობა. უნდა ვიცოდეთ, რომ სოციალური ჩვევებით არ ვიბადებით, ჩვენ ვიბადებით სოციალური ჩვევების მიმღებლობის მზაობით და სოციალური ჩვევები არის დასწავლადი, რაც ოჯახში უნდა განხორციელდეს. რა თქმა უნდა, საზოგადოებას, კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს. ოჯახი თვითონ არის საზოგადოების ანარეკლი, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამავდროულად ისეთი ავტონომიურობა არავის და არაფერს შეუძლია, როგორც ოჯახს“, — განაცხადა ნანა ჩაჩუამ.

ფსიქოლოგმა ძალადობის პრევენციის პროცესში მედიის როლზეც გაამახვილა ყურადღება. ნანა ჩაჩუას თქმით, თანამედროვე ქართული ტელეგადაცემები, მათ შორის, იუმორისტულიც ფსიქოლოგიურად რომ გააანალიზო, აგრესიით არის დატვირთული: „აგრესიის გარეშე პრობლემაზე იუმორით საუბრის საუკეთესო მაგალითია ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხველი ლუარსაბობაზე უარს ამბობს, მაგრამ ლუარსაბი უყვარს“.

რაც შეეხება სისხლის სამართლის ჟურნალს, მასში შესულია თინათინ წერეთლის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრთა სტატიები, რომლებიც ავტორებმა 2017 წლის 18 მაისს გამართულ კონფერენციაზე „სტუდენტები მოსწავლეებისთვის“ მოხსენების სახით წარმოადგინეს. ჟურნალი პერმანენტულად გამოიცემა.

„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხების“ მე-2 გამოცემისა და „სისხლის სამართლის ჟურნალის“ I ნომრის პრეზენტაციას ესწრებოდნენ იურიდიული ფაკულტეტის პროფესურა, ადმინისტრაცია, სტუდენტები და მოწვეული პრაქტიკოსი იურისტები. გამოცემების მთავარი რედაქტორი პროფესორი მაია ივანიძე გახლავთ. ღონისძიება 21 მარტს გაიმართა.

ქართული ენის კვირეული

ესეების კონკურსის 4 გამარჯვებული

თამარ დადიანი

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა სტუდენტური ესეების კონკურსი გამოაცხადა თემაზე: „ჩვენი ენა ქართული“. მასში მონაწილეობა შეეძლო თსუ-ის ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს, რომლებსაც უნდა წარმოედგინათ ესეები შემდეგ თემებზე: ქართული დამწერლობა, ენის ისტორია, იდენტობა, დიალექტი და სხვა.

კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად. ესეებისა და პრეზენტაციების შეფასებათა შეჯამების შედეგად ჟიურიმ 4 გამარჯვებული გამოავლინა. ესენი არიან თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები: ანა აბულაშვილი, ელენე ლურსმანაშვილი და მარიკა ჭითანავა. ხოლო პირველი ადგილის მფლობელი გახდა მაია კვირკველია, რომელმაც წარმოადგინა ესე „...და დედაენას გაყინული სახე უთბება“, რომელიც პოეტ ლია სტურუას პოეტურ ენას ეხება.

თსუ-ის პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ გამარჯვებულებს სერტიფიკატები გადასცა და გამარჯვება მიულოცა.

> ჟიურიმ 4 გამარჯვებული გამოავლინა. ესენი არიან თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები: ანა აბულაშვილი, ელენე ლურსმანაშვილი და მარიკა ჭითანავა

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველ წელს დიდი ზეიმით აღინიშნება ქართული ენის დღე. წელს განსაკუთრებით ვზეიმობთ ამ დღეს, რადგან 40 წელი გავიდა იმ მნიშვნელოვანი მოვლენებიდან. მაშინ სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული ენის დაცვის მოძრაობაში და ისინი ახლაც სერიოზულ ღონისძიებებს უძღვნიან განვითარებულ მოვლენებს.

ესეების სტუდენტური კონკურსი უნივერსიტეტში ხშირად იმართება, რომელიც სხვადასხვა თემებს მოიცავს. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ და ხალისით ერთვებიან ამ ღონისძიებაში. ისინი შეეცადნენ თავის ესეებში გამოეხატათ ქართული ენის მიმართ საკუთარი ემოციური დამოკიდებულება. ამ კონკურსში სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტები იყვნენ ჩართულნი.

იმედი მაქვს, დღევანდელი ღონისძიება ლამაზ ფურცლად ჩაიწერება დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს შორის“, — განაცხადა პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ.

„სტუდენტური ესეების კონკურსში მონაწილეობა დიდი ინტერესის გამო მივიღე. თეოლოგი ვარ და ვფიქრობდი, რომ ეს პროექტი საინტერესო იქნებოდა. ჩემი ესე „...და დედაენას გაყინული სახე უთბება“ პოეტ ლია სტურუას პოეტურ ენას ეხება. ენაზე მუშაობა მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი მხარეა, მაღალმხატვრულ ტექსტში ზედმეტი არც ერთი სიტყვა არაა. ამის დასტურია ლია სტურუას პოეზიაც. მისი, როგორც პოეტის, განსაკუთრებულობა ვლინდება არა მხოლოდ ლექსის ფორმის და გამოხატვის თავისებურებების კუთხით, არამედ სწორედ თითოეულ სიტყვასთან განსაკუთრებული ურთიერთობით, ამ სიტყვებისთვის ახალი მნიშვნელობების „მოპოვებითა“ და ქართული ენის ღრმა შრეების წვდომის უნარით. ენაში მოგზაურობის ეს პროცესი მკითხველს ბევრ სიახლეს სთავაზობს“, — განაცხადა კონკურსის გამარჯვებულმა მაია კვირკველიამ, რომელიც პოეტ ლია სტურუას შემოქმედების თაყვანისმცემელია.

ესეების კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოებას, რომელიც 12 აპრილს გაიმართა, თსუ-ის პროფესორმასწავლებლები, კონკურსის მონაწილეები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

„ქართველური ენათმეცნიერების“ მე-4 ტომის პრეზენტაცია

შურთხია ბეროშვილი



თსუ-ის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის „ქართველური ენათმეცნიერების“ მე-4 ტომი გამოჩენილ ქართველოლოგს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, უმაღლესი სკოლის დამსახურებულ პედაგოგს, პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა. კრებულის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შრომების — „ქართველური ენათმეცნიერება“ — IV ტომში შესულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ზურაბ ჭუმბურიძის საიუბილეო ღონისძიების მასალები — ქართველი და უცხოელი კოლეგების მისალმებები; გამოხმაურებები; დიალოგი სტუდენტებთან; სპეციალურად მისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, რომლებიც მოიცავენ ქართული სალიტერატურო ენის, ტექსტოლოგიური კვლევების, ქართველურ ენათა სტრუქტურის, სემანტიკისა და ლექსიკის საკითხებს. კრებულში შეფასებულია ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში ბატონი ზურაბ ჭუმბურიძის მოღვაწეობა, წარმოჩენილია მისი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ნაშრომების მნიშვნელობა. დანართში მოცემულია შევსებული და დაზუსტებული ზურაბ ჭუმბურიძის შრომების ბიბლიოგრაფია, ასევე ფოტომასალები მეცნიერის პირადი არქივიდან.

კრებული იწყება მეცნიერის სამოცწლიანი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეპიზოდების აღწერით, გამოქვეყნებულია თსუ-ის პროფესორების და უცხოელი ენათმეცნიერების: დარეჯან თვალთვაძის, ნანა გაფრინდაშვილის, თამაზ გამყრელიძის, ავთანდილ არაბულის, გიორგი გოგოლაშვილის, დამანა მელიქიშვილის, იზა ჩანტლაძის, დეკანოზ კონსტანტინეს (გიორგაძე), იასუჰირო კოჯიმას, გვანჯი მანიას, მზექალა შანიძის, ვინფრიდ ბოედერის, ჰაინც ფენრიხის, რეუვენ ენოხის (რუბენ ენუქაშვილი) და სხვათა მოგონებები, სადაც საუბარია ზურაბ ჭუმბურიძის დამსახურებაზე ქართული ენათმეცნიერების განვითარების საქმეში.

კრებულში თავმოყრილია რევაზ აბაშიას, ციური ახვლედიანის, ქეთევან გაბუნიას, მაია ბარამიძის, ცირა ბარამიძის, თინათინ ბოლქვაძის, ელისაბედ გაზდელიანის, გიორგი გოგოლაშვილის, როზეტა გუჯეჯიანის, ნინო დობორჯგინიძის, რუსუდან ზექალაშვილის, დარეჯან თვალთვაძის, მარინე კაკაჩიას, ქეთევან მარგიანის, მარინა ჯღარკავას, იგორ კეკელიას, მარიამ კიკონიშვილის, ნინო ჭუმბურიძის, ნანა ლოლაძის, მაია ლომიას, ქეთევან მარგიანის, დამანა მელიქიშვილის, მერაბ ნაჭყებიას, თამილა ზვიადაძის, მაია ნინიძის, სალომე ომიაძის და სხვა მეცნიერების სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ქრთულ ენათმეცნიერებაში მიმდინარე პროცესებს ასახავს.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე მიესალმა. მან ზურაბ ჭუმბურიძის დამსახურებაზე ისაუბრა და კიდევ ერთხელ გაიხსენა 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები. „ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა თაობამ იცოდეს ამ დღის შესახებ, რათა უკეთ გააცნობიეროს — რას ნიშნავს ეს დღე ქართველი ერის ისტორიაში. იმ დროს სკოლის მოსწავლე ვიყავი და მე და ჩემი მეგობრები არჩევანის წინაშე არც დავმდგარვართ, თუ სად წავსულიყავით. ბევრი ინსტიტუტი და სკოლა შემოუერთდა საპროტესტო აქციას. უნივერსიტეტი იყო ის ადგილი, სადაც გაჩნდა გრძნობა ერთიანობისა

გვ. 7

ქართული ენის კვირეული



„ქართველური ენათმეცნიერების" მე-4 ტომის პრეზენტაცია

მე-6 გვ-დან

და წინააღმდეგობის გაწევისა. ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა მთელ საბჭოთა იმპერიაში. უნივერსიტეტი გახდა ის ადგილი, სადაც დაიწყო სამოქალაქო საზოგადოების აზროვნების ჩამოყალიბება. ამ დღემ დაადასტურა, რომ გარკვეული ეტაპები უნდა გაიარო, რომ დამოუკიდებლობა მოიპოვო. უნივერსიტეტი კი ამ პროცესებში ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა", — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

ენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წარმომადგენელმა, თსუ-ის პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ: „როდესაც ერთმანეთს 1978 წლის 14 აპრილს და 2018 წლის 14 აპრილს ვადარებთ, სხვადასხვა პრობლემატიკაზე გვიწევს დაფიქრება. ჩემი აზრით, დღეს ქართული ენის მდგომარეობა გაცილებით რთულია, ვიდრე ეს იყო საბჭოეთის პერიოდში. მაშინ ქართულ ენას კონკურენციას მხოლოდ რუსული ენა უწევდა, დღეს კი მისი საკონკურენციო არეალი გაფართოებულია. ჩვენი მოვალეობაა, რომ ქართულ ენას არ დავუკარგოთ ის ფუნქცია, რომელიც მას ჰქონდა საუკუნეების მანძილზე, რაც არ არის ადვილად შესანარჩუნებელი. ენის დეპარტამენტის ფუნქცია მხოლოდ ქართული და აფხაზური ენების დაცვით არ შემოიფარგლება. ამავე დროს მნიშვნელოვანია სხვა ქართველურ, მათ შორის, მეგრულ, სვანურ და ლაზურ ენებზე ზრუნვა, რომელიც ჩვენი სიმდიდრეა. ზურაბ ჭუმბურიძეს განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ენათმეცნიერების განვითარებაში", — განაცხადა თინათინ ბოლქვაძემ.

საიუბილეო კრებულის გამოცემისათვის ზურაბ ჭუმბურიძემ ღონისძიებაზე თსუ-ის ხელმძღვანელობას და შეკრებილ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა: „ვფიქრობ, რაც შემეძლო, გავაკეთე ქართული ენათმეცნიერების განვითარებისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას დაფასებისა და სიყვარულისთვის", — განაცხადა ზურაბ ჭუმბურიძემ.

ღონისძიების ფარგლებში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებმა ფოტო და ვიდეომასალების პრეზენტაცია („სვანეთი, ლაზეთი, სამეგრელო სტუდენტების თვალით — 2016-2017") წარმოადგინეს და დამსწრე საზოგადოებას სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციების შედეგები გააცნეს.

სტუდენტთა ქართველოლოგიური კვლევები

შურთხია ბეროშვილი



ენის დღისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 12 აპრილს გაიმართა, სტუდენტებმა ქართველოლოგიაში მიმდინარე პროცესებზე შეაჩერეს ყურადღება. როგორი იყო ქართული ენის განვითარების რთული გზა, რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ თერგდალეულები ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას საზოგადოებაში, როგორი იყო საქართველოს ყივჩაღი მოსახლეობის ეკონომიკა XII-XIV საუკუნეებში, რა დამოკიდებულება ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს აჭარელ მუსლიმებთან — ეს და სხვა საინტერესო თემატიკა განიხილეს სტუდენტებმა თავიანთ ნაშრომებში.

ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის პირველკურსელმა სტუდენტმა ლიკა ხვადაგიანმა საპრეზენტაციო თემად ქართული დამწერლობის ისტორია შეარჩია. მან მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა იმ პრობლემებზე, რომელიც ქართულმა ენამ თავისი განვითარების გზაზე გაიარა, კერძოდ, მონათესავე ერების დამწერლობის გავლენაზე და დროის მანძილზე ენაში მომხდარ ცვლილებებზე. მისი აზრით, ამ თემაზე კვლევები ქართველოლოგიაში კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ლიკა ხვადაგიანმა, აგრეთვე, დაწვრილებით ისაუბრა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ და გავრცელებულ ქართული ანბანის წარმომავლობის ბერძნული და სემური თეორიების არსებობაზე.

ბერძნული თეორიის მიხედვით, ქართული ანბანი გენეზისურად არის დაკავშირებული ბერძნულ ანბანთან. საქართველოში ეს თეორია პირველად წამოაყენა დ. ბაქრაძემ, რომელიც თვლიდა, რომ ქართული ანბანის რიგი ძველი ბერძნული ასო-ნიშნების რიგს მისდევს და რომ ქართული ანბანი შეიქმნა ბერძნული კულტურის გავლენით ჯერ კიდევ ფარნავაზამდე. ქართული ანბანის წარმოშობის სემური თეორია მეცნიერულ საფუძველზე ჩამოაყალიბა ივანე ჯავახიშვილმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში: „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია". დიდმა მეცნიერმა საფუძვლიანად გააკრიტიკა ქართული ანბანის ბერძნულისგან მომდინარეობის არგუმენტები. მისი აზრით, ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია. წარმოდგენილი მოსაზრება გაამყარა შემდგომმა აღმოჩენებმა და გამოკვლევებმა. ამ მხრივ ფასეული აღმოჩნდა არმაზის ბილინგვა. განსაკუთრებით საინტერესოა რ. პატარიძის მოსაზრება, რომელიც ვარაუდობს, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია წარმართულ ხანაში ფინიკიურ-ბაბილონური დამწერლობისაგან და იგი თვით ბერძნულ მონუმენტურ ანბანზე ადრინდელია. ამ მოსაზრებას სარწმუნოდ მიიჩნევს ბევრი ქართველოლოგიც.

ლია ხვადაგიანმა თავის მოხსენებაში ქართული ანბანური დამწერლობის შესახებ წყაროებში დაცული რამდენიმე საინტერესო ცნობა გააცნო კონფერენციის მონაწილეებს: — „ქართული საისტორიო ტრადიციით, ქართველებს ფარნავაზამდეც ჰქონიათ დამწერლობა. იგი შეუდგენიათ ქართველ ქურუმებს: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაცა შინა ვიდრე ფარნავაზამდე — წერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა". XI საუკუნის მემატიანის ლეონტი მროველის მოწმობით, ქართული ანბანის შექმნა მიეწერება მეფე ფარნავაზს: „ამან (ფარნავაზმა) განავრცო ენა ქართული... და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" (ქართლის ცხოვრება). V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის — კორიუნის თხზულებაში: „მაშტოცის ცხოვრება და მოღვაწეობა" დაცულია ცნობა, რომ სომხური დამწერლობა შექმნა მესროპ მაშტოცმა, მანვე გამოიგონა ქართული და ალბანური (ალვანური) დამწერლობები. სომხურ ცნობათა სიყალბე ჩანს „ეპისტოლეთა წიგნში", რომელიც მოწმობს, რომ მოგვიანო პერიოდის გადამწერლებმა და რედაქტორებმა ძველი ტექსტები საკუთარი შეხედულებებისა და სურვილისამებრ გადააკეთეს".

სტუდენტმა ასევე ვრცლად ისაუბრა ქართული ენის მონათესავე ენებზე და ამ საკითხის აქტუალურობაზე, რომელზეც პასუხის გაცემას მეცნიერები ჯერ კიდევ ჰეროდოტეს ეპოქიდან ცდილობდნენ. „ჰეროდოტე ქართულ ენას ეგვიპტურთან აკავშირებდა, თუმცა არსებობდა სხვა მოსაზრებებიც. ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. მრავალი მეცნიერი გამოთქვამდა საკუთარ ჰიპოთეზას და საბოლოოდ XIX საუკუნეში ქართული ენის დაკავშირება სცადეს ევროპულ ენებთან. ამის დასაბუთებას ცდილობდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: მარი ბროსე, ფრანც ბოპი და სხვა, თუმცა ამან მხოლოდ ერთი შედეგი მოიტანა, კერძოდ, ევროპაში გაჩნდა აზრი ქართული ენის განკერძოებულობის შესახებ. მრავალი პრობლემისა და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი რამ ცხადია: ქართველი ერი საკუთარი ანბანური დამწერლობის შემქმნელი ერია და ქართული დამწერლობა ერთ-ერთი სრულყოფილი ანბანური სისტემაა, ვინაიდან ყოველ ბგერას თავისი ასო შეესაბამება", — აღნიშნა ლია ხვადაგიანმა.

მან საინტერესოდ ისაუბრა ასევე ქართული დამწერლობის განვითარების გზებზე და მის გრაფიკულ ნაირსახეობაზე — ასომთავრულზე, ნუსხურზე და მხედრულზე, ასევე, ამ დამწერლობებით შექმნილ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე.

სამეცნიერო კონფერენციაზე თავიანთი თემები წარმოადგინეს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა: ნინო ჭრიკიშვილმა („ქართული ენის განვითარების გზა"); გიორგი ჯღარკავამ, სალომე გეგეჭკორმა, ელენე ლურსმანაშვილმა, მანველ კლოიანმა („აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტკორპუსი"); ლალი კუკავამ, ელენე ლურსმანაშვილმა, სოფიკო ჭანტურიამ („დაკვირვება ლინგვისტური ექსპედიციის მასალებზე სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით"); ანა გოგიტიძემ („ზედსართავ სახელთა ოდნაობითი ხარისხის წარმოება თანამედროვე სვანურში"); ალისა არჩვაძემ („აქადურ-არაბულ-ქართველური ლექსიკური პარალელები გილგამეშის ეპოსის ძველაღმოსავლური ვერსიების მიხედვით"); ანა პაპუაშვილმა და ანანო ბაქრაძემ („ბრუნების გამარტივების ტენდენციის შესახებ თანამედროვე სვანთა მეტყველებაში"); ანი ნოზაძემ („უნებლიობის კატეგორიის პრობლემა ქართულ ენაში); თამარ ჩითინაშვილმა („სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის პრობლემატიკა საქართველოსა და არაბული სამყაროს მაგალითზე"); გიორგი კახიშვილმა („ზღვის მითოსური დატვირთვა „ვეფხისტყაოსანში"); მარიამ რაქვიაშვილმა („ვეფხისტყაოსნის" პროლოგის „შეწევნის" კავშირი წმინდა გიორგისთან"); ციური გვენეტაძემ („გამოცხადების ერთი ასპექტის შესახებ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში"); თამარ დუდაშვილმა და თამარ მეტრეველმა („რეფლექსიები ილია ჭავჭავაძის მოთხრობაზე „სარჩობელაზედ"); ანი დათუნაშვილმა („ქართველოლოგიის სათავეებთან — თერგდალეულები"); მირანდა გვენეტაძემ და სალომე გოგოჩაშვილმა („გოდერძი ჩოხელის ერთი რომანი — „მგელი"); მარიამ ტატუაშვილმა („მითოსური მზე და მისი რეპრეზენტაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში") და სხვებმა.

„სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ენის კვირეულის ფარგლებში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით დაიგეგმა. ასეთ მნიშვნელოვან კომპლექსურ ფორუმში, როგორიც არის დედაენის დღე, სტუდენტების ჩართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

40 წლის წინ სტუდენტი ახალგაზრდობა მთელ ქართველ ერთან ერთად ქუჩაში გავიდა ეროვნული ცნობიერების დასაცავად. დღესაც აქტუალურია ერის მსოფლმხედველობის განვითარებაზე ზრუნვა. ახალგაზრდა თაობა ახლა უკვე აუდიტორიებში აგრძელებს მსჯელობას ფილოლოგიურ, ისტორიულ და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებზე", — განაცხადა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა მაია ლომიამ.

სტუდენტების აზრით, საქართველოში დედაენის დღის აღნიშვნას დიდი მნიშვნელობა აქვს და ყველას ვალია — ახსოვდეს ის თარიღი, რომელმაც სასიკეთოდ შეცვალა საქართველოს ისტორია.



ქართული ენის კვირეული

გამოფენა – „დედაენის“ შექმნის სათავეებთან

„დედაენა არის ღერძი, რომელზეც მიგორავს ეტლი ერის წარმატებისა. დააზიანეთ ეს ღერძი და უკან ჩამორჩება ყველა სხვა ერის ეტლსა, გატეხეთ იგი და ერთს ადგილს გაშეშდება“ (იაკობ გოგებაშვილი).

შერთხია ბეროშვილი

„დედაენის, ანუ „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისთვის“ იყო ის პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო, რომელიც ყველა დროის უდიდესმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა და თაობებს უსახსოვრა. „დედაენის“ შექმნის სათავეებთან“ — სწორედ ამ სახელწოდებით გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კვირეულის ფარგლებში კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო „დედაენისადმი“ მიძღვნილი ლექსებისა და მოთხრობების ავტოგრაფები; გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისათვის ოსკარ შმერლინგის მიერ დახატული ილუსტრაციების ორიგინალები; იაკობ გოგებაშვილისა და მისი თანამედროვე მოღვაწეების მიმოწერის ნიმუშები „დედაენაზე“ მუშაობის პროცესთან დაკავშირებით; ასევე, პირველნაბეჭდი „დედაენა“; აფხაზური „დედაენა“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის არქივშია შემონახული; ანბანის პირველი ბეჭდური გამოცემა — 1629 წელს რომში დაბეჭდილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“; „დედაენის“ 1920 წლის გამოცემის სტამბური კლიშეები და სხვა საინტერესო მასალა.



ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ალიბეგაშვილი, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელნაწერების ძალიან საინტერესო ექსპოზიციაა წარმოდგენილი: „14 აპრილი მნიშვნელოვანი დღეა ეროვნული აზროვნების ჩამოყალიბების საქმეში. 40 წლის წინანდელი მოვლენები სამაგალითო იყო არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ საბჭოთა იმპერიაში შემავალი სხვა ქვეყნებისთვისაც. საამაყოა, რომ მოვლენების ეპიცენტრი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი პროფესურით, სტუდენტობით, ახალგაზრდობით. ეს გამარჯვება იმის საწინდარი იყო, რომ გაქრა შიში, რომელიც მრავალი ხნის მანძილზე უფროს თაობაში არსებობდა. ამავდროულად, საზოგადოებაში სოლიდარობის გრძნობა და იმის განცდა გაჩნდა, რომ ყველა ერთად მშობლიური ენის დაცვის სურვილმა გააერთიანა“.

მნიშვნელოვანი თარიღი დამსწრე საზოგადოებას ენის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ალიბეგაშვილმა მიულოცა. „14 აპრილი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული დღეა. იმ პერიოდში, როდესაც ქართველმა ხალხმა თავისი ნება გამოხატა, საბჭოთა იმპერია ჯერ კიდევ ფეხზე მყარად იდგა. 70-იანი წლები იმითაც იყო გამორჩეული, რომ ქართულ კულტურაში ერთგვარი აღმასვლა იგრძნობოდა. ხელოვნებასა და მწერლობაში მრავალი საინტერესო პროცესი დაიწყო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შეიქმნა. როდესაც ქართველი ერი არჩევანის წინაშე დადგა, მან ერთმნიშვნელოვნად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და გაიმარჯვა, რაც თავგანწირვასაც გულისხმობს და ამ პროცესებს სწორედ თავგანწირვა ახლდა თან. ეს არის ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების დღე. ჩემი აზრით, ილიას სიტყვები — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — პათეტიკა ნამდვილად არ იყო, რადგან იმ პერიოდისათვის მამული წართმეული გვქონდა, სარწმუნოება მინავლებული გახლდათ და ერთადერთი, რაც ქართველ ხალხს შემორჩენილი ჰქონდა, ეს იყო ენა და იმის წართმევაც დააპირა საბჭოთა იმპერიამ. თითქოს რაღაც უხილავი ხელი მართავდა დედაენის დღეს და ეს უხილავი ხელი გახლდათ ერთსულოვნება და ჩვენი ერის ძალიან მტკიცე ნება“, — განაცხადა გიორგი ალიბეგაშვილმა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნესტან ბაგაურმა გამოფენის მნიშვნელობასა და იაკობ გოგებაშვილის დამსახურებაზე ისაუბრა: „ქართველებისა და საქართველოს დარაჯი“ — ასე აფასებდნენ თანამედროვენი იაკობ გოგებაშვილს. „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილისათვის იყო სწორედ ერთ-ერთი საშუალება ქართული ენის სადარაჯოზე ბრძოლისათვის. მისი ჩანაწერებიდან ჩანს, რამდენი ბრძოლა და ენერგია დასჭირდა ყოველივე ამის შექმნას. გოგებაშვილი ანბანის მოხაზულობასაც კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ჩვენთვის განსაკუთრებული პატივია — წარვადგინოთ იაკობ გოგებაშვილის არქივის ორიგინალები იმ უნივერსიტეტში, საიდანაც დაიწყო 14 აპრილის პროცესები და დაიძრა ახალგაზრდების ტალღა. ის, რაც დაიწყო გოგებაშვილმა ქართული ენის დაცვისათვის, სხვადასხვა დროს მძლავრად გამოვლინდებოდა ხოლმე საზოგადოებაში და 1978 წელი იყო ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენა. ექსპოზიციაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტებია წარმოდგენილი. ჩვენთვის სამაგალითოა ის მოვლენები, რომელიც ენის დაცვას უკავშირდება. უნივერსიტეტში იაკობ გოგებაშვილის პირადი ორიგინალი ხელნაწერების წარდგენით კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე იაკობ გოგებაშვილისთვის ქართულად მეტყველებაზე და წერაზე ზრუნვა“,— განაცხადა ნესტან ბაგაურმა.

„გავრცელებული ენობრივი შეცდომების ლექსიკონის“ პრეზენტაცია

თამარ დადიანი

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან: მამული, ენა სარწმუნოება, თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ — დიდი ილია ჭავჭავაძის ეს გამონათქვამი დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას. რადგან ენა ცოცხალი ორგანიზმია, იგი მუდმივად ვითარდება და ივსება. ენის პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როდესაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ძვრები მიმდინარეობს. გლობალური პროცესების პარალელურად, ენობრივი გარემოც იცვლება. სწორედ ამიტომ არაერთხელ იდგა დღის წესრიგში ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხი. აღნიშნული ამჟამადაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ენის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწრაფად განვითარებადი ტექნიკური ცივილიზაცია, ღია საინფორმაციო სივრცე და ინტენსიური გარე ურთიერთობები, ამ ყველაფერს ემატება შინაგანი ენობრივი პროცესებიც.

ენის სიწმინდის დაცვის საკითხში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჯერ სახელმწიფო ინსტიტუტებს, შემდეგ კი საგანმანათლებლო და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი სულ ახლახან გაიხსნა, რომლის მიზანი სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა, პოპულარიზაცია, სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა, სახელმწიფო ენის განვითარებისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება-ხელშეწყობაა.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა, ქართული ენის კვირეულის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადებული „გავრცელებულ ენობრივ შეცდომათა ლექსიკონის“ პრეზენტაცია წარმოადგინა.

„ქართული ენა ქართველთა იდენტობისა და თვითმყოფადობის სიმბოლოა. ქართულ ანბანი 14 ძირითად დამწერლობას შორის მნიშვნელოვან ადგილს ინარჩუნებს. ქართული ენისა და დამწერლობის ასეთი გამორჩეულობით აუცილებლად უნდა ვამაყობდეთ, თუმცა იმასაც უნდა ვიაზრებდეთ, რომ ყველაფერი საამაყო დიდ პასუხისმგებლობასთანაც ასოცირდება. ენის შემთხვევაში, თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული მისი შენარჩუნება, განვითარება და მომავალი თაობისთვის უკეთესი თუ არა, უცვლელი ფორმით გადაცემა მაინც. სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა გამოსცა პირველი ბიულეტენი — „გავრცელებული ენობრივი შეცდომების ლექსიკონი“, რომელიც გამიზნულია არასპეციალისტებისთვის. ლექსიკონი სრული არ არის, მაგრამ ყველა ერთეული შერჩეულია გამოყენების შედარებით მაღალი სიხშირის მიხედვით. ამიტომ წიგნი სასარგებლო იქნება მომხმარებელთა ფართო წრისთვის“, — აღნიშნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა.

როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, ხშირი ენობრივი შეცდომებიდან მასში შესულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური და სტილისტიკური შეცდომები: „სალექსიკონო ერთეულების მოზრდილ ნაწილს ქმნიან სხვადასხვა სახის ორთოგრაფიული შეცდომები, ბარბარიზმები, დიალექტიზმები და კალკები. სიხშირის პრინციპით არის შერჩეული ტერმინები სხვადასხვა დარგობრივი ლექსიკიდან.

ქართულ ენას მრავალსაუკუნოვანი და ინტენსიური კონტაქტები ჰქონდა მეზობელ ხალხთა ენებთან. ამ ენობრივი ურთიერთობის შედეგები დაილექა ქართულ ლექსიკაში. ბოლო პერიოდში სპეციალისტთა ჩარევითა და საზოგადოების სწორი დამოკიდებულებით ქართული ენიდან იდევნება რუსულიდან შემოღწეული ბარბარიზმები. თუმცა ზოგიერთ სფეროში, განსაკუთრებით საავტომობილო ლექსიკაში, მათ იმდენად მყარად აქვთ ფეხი გადგმული, რომ თვით ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი გვხვდება. ბუნებრივია, ეს ლექსიკა აისახება წინამდებარე ლექსიკონში“, — ვკითხულობთ ლექსიკონის წინასიტყვაობაში.

მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს ის გარემოება, რომ ქართულმა ენამ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული ბარბარიზმებისგან გათავისუფლებაც კი ვერ მოასწრო და უკვე ინგლისური ბარბარიზმებით გაიჟღინთა, მითუმეტეს, რომ საზოგადოებაში ისინი სულაც არ აღიქმება ბარბარიზმებად და უპრობლემოდ იკიდებს ფეხს.

დღეს ინგლისური სიტყვების გამოყენებით ვცდილობთ ხაზი გავუსვათ ჩვენს განათლებულობას. რუსული ბარბარიზმები ახლა ყურს ჭრის და ვხვდებით, რომ მისი გამოყენება არ შეიძლება, მაგრამ ინგლისურიდან შემოსული სიტყვები არ აღიქმება ბარბარიზმებად, პირიქით, თითქოს აუცილებელიც კი გახდა მათი გამოყენება. ასეთი დამოკიდებულება შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს ქართული ენისათვის, რადგან უცხოური სიტყვები შეუმჩნევლად ანაცვლებს ქართულს. ამ ლექსიკონში მოცემულია ყველა ხშირად გამოყენებული ინგლისურენოვანი ბარბარიზმები შესაბამისი სწორი შესატყვისით. მაგალითად, აჯენდა (სწორია დღის წესრიგი), ბულინგი (ჩაგვრა, ძალადობა), ევიდენსი (მტკიცებულება, სამხილი, ფაქტი) და სხვა.

ბარბარიზმებთან და კალკებთან ერთად ლექსიკონში აგრეთვე მოცემულია საკუთრივ ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ხშირი შეცდომები.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენას უწყვეტი ლიტერატურული ტრადიცია გააჩნია, რომელიც ქრისტიანობის მიღების შემდეგ ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში გაჩნდა.

2016 წლის 30 ნოემბერს ქართული დამწერლობის სამივე სახეობა იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.

„გავრცელებული ენობრივი შეცდომების ლექსიკონის“ პრეზენტაციას, რომელიც 13 აპრილს გაიმართა, თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ქართული ენის კვირეული



წიგნებში ასახული ქართული ენის მემატიანე

თამარ დადიანი



ქართული ენის კვირეულის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა — „ქართული ენის მემატიანე წიგნებით“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გამოცემები, რომელიც დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში.

„ენის კვირეულთან დაკავშირებით გავხსენით ჩვენი საცავები და გამოვიტანეთ გამორჩეული ლიტერატურა, რარიტეტები, რომლებსაც იშვიათად ვფენთ. ეს გახლავთ ის წიგნები, რომლებიც ასახავს ჩვენი უმდიდრესი ქართული ენის სიღრმეს, ენათმეცნიერულ წიაღსვლებს — დაწყებული პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნით, რომელიც იტალიაში გამოიცა კათოლიკე მისიონერების დასახმარებლად. ეს წიგნი სწორედ ქართული ენის ანბანს ეძღვნება და ლოცვებითურთ არის დაბეჭდილი. ამავე დროს, გამოფენილია შედარებით თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც ქართული ენის შესწავლას ეძღვნება.

გამოფენა ორ ნაწილად არის დაყოფილი: პირველი — ეს არის რარიტეტები, ძველი ნაბეჭდი წიგნები, ხოლო მეორე — საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომები. ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია შავ ლუსკუმაში ჩასვენებული ჩვენთვის ძალიან ძვირფასი გამოცემა — აკაკი შანიძის დისერტაცია, რომელიც მან 1920 წელს დაიცვა და, ფაქტობრივად, ამით დაიწყო უნივერსიტეტში დიდი ქართველოლოგიური სკოლის დაარსება“, — აღნიშნა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მადლობა გადაუხადა კვირეულის ორგანიზატორებს, განსაკუთრებით ენის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელმაც სულ ახლახან დაიწყო აქტიურად ფუნქციონირება. მან ასევე ხაზი გაუსვა თსუ-ისა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საქმიან ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც ორივე მხარისთვის ნაყოფიერი იქნება.

„კვირეულის განმავლობაში დაგეგმილია პრეზენტაციები, სემინარები, კონფერენციები. 14 აპრილს დედაენის ძეგლთან დეპარტამენტი გამართავს საინტერესო ღონისძიებებს. მათ შორის არის ბარბარიზმების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელშიც ბევრი მოხალისე ჩაერთო და ეს მოძრაობა ძალიან პოპულარული გახდა.

თუ რატომ აღნიშნავს უნივერსიტეტი ასე მასშტაბურად დედაენის დღეს, ეს ყველასთვის გასაგებია. უნივერსიტეტი ყოველთვის იყო დამოუკიდებლობის სიმბოლო, თავისუფალი აზრის გამოხატვის ადგილი. რაც კი ქვეყანაში მნიშვნელოვანი ხდებოდა, თითქმის ყველაფერი უნივერსიტეტიდან იწყებოდა. ტრადიციების გამგრძელებელმა უნივერსიტეტმა ის შავ-ბნელი 70 წელიწადი ღირსეულად გამოგვატარა. არ არსებობდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, იდევნებოდა რელიგია, იხურებოდა ეკლესიები, მაგრამ არსებობდა უნივერსიტეტი, სადაც ეროვნული, ქართული თვითმყოფადობა და სული იყო შენარჩუნებული. უნივერსიტეტს აქვს უნარი — გააერთიანოს საზოგადოება ეროვნული ღირებულებების გარშემო. სწორედ ეს არის ქართული ენის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეულის მთავარი იდეა.

ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ფიქრი რეალურად 40 წლის წინ დაიწყო, როდესაც ენის დასაცავად პირველი მასშტაბური და მასიური აქცია გაიმართა. ეს იყო უპრეცედენტო ფაქტი მთელს საბჭოთა კავშირში. აქ განვითარებული მოვლენები სამაგალითო იყო არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ საბჭოთა იმპერიაში შემავალი სხვა ქვეყნებისთვისაც. საამაყოა, რომ მოვლენების ეპიცენტრი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი პროფესურით, სტუდენტობით, ახალგაზრდობით. საქართველო იქცა ადგილად, სადაც აქტიურად დაიწყო ფიქრი სახელმწიფოს დამოუკიდებლობაზე. იმ პერიოდში ეს წარმოუდგენელი რამ გახლდათ.

1978 წლის 14 აპრილს რთული სიტუაცია შეიქმნა სხვადასხვა თვალსაზრისით. პროტესტანტების დასაშლელად ჯარი შემოიყვანეს და ყველაფერი მზად იყო, რომ განხორციელებულიყო საშინელი სცენარი. იმ დღეს ბეწვის ხიდზე გავიარეთ... სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება. ვიტყვი, რომ ეს დღე სამოქალაქო საზოგადოების დაბადების დღე იყო“, — განაცხადა გამოფენის გახსნისას თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

„იმ დღიდან 40 წელია გასული და თითქოს ახლა მოხდა ეს ყველაფერი... წარმოიდგინეთ ჩვენი მშობლები — როგორი შიშითა და განცდით უყურებდნენ ამ მოვლენებს. საბედნიეროდ, მოვლენების ტრაგიკულად განვითარება თავიდან იქნა აცილებული. უნივერსიტეტი იყო ცენტრი ყველა ეროვნული ღირსეული საქციელისა! ისტორია გვაძლევს ყოველთვის იმის შანსს, რომ არჩევანი გავაკეთოთ. არჩევანი ეს რისკად ღირდა“, — განაცხადა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა.

გამოფენაზე XVII-XXI საუკუნეების 55 იშვიათი წიგნი გამოფინეს.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

შურთხია ბეროშვილი

13 აპრილს ქართული ენის დღე თსუ-ისა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციით აღინიშნა, რომელიც ცნობილი ქართველი მეცნიერის გიორგი ახვლედიანის დაბადების დღეს მიეძღვნა. სამეცნიერო ფორუმზე შერჩეული თემატიკა შეეხებოდა ქართულ და ქართველურ ენებს, მათ ისტორიულ და დღევანდელ კონტაქტებს სხვა ენებთან; იმ პრობლემებს, რომლებიც ქართული ენის გავრცელებასა და სწავლებას ხვდება საზღვრისპირა რეგიონებში. კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო აფხაზური ენის თანამედროვე მდგომარეობა — მისი გავრცელება, სწავლება და ფუნქციონირება. გარდა ამისა, მოხსენებები მიეძღვნა ენობრივი ეტიკეტისა და ენობრივ ნორმათა დადგენის პრობლემებს, ქართულად სწორად წერისა და სწორად მეტყველების, აგრეთვე ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევისა და სწავლების კონკრეტულ პრობლემებს.

მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციას წინ უძღოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. როგორც მხარეებმა ხელმოწერის დროს განაცხადეს, მათი მთავარი მიზანია ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება ქართული და ქართველური ენების კვლევის, დოკუმენტაციის შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის, აგრეთვე, საარქივო, სამუზეუმო, ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლის, კვლევისა და დაცვის სფეროებში. მემორანდუმის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მომავალშიც ერთობლივ კონფერენციებს, სამეცნიერო და სასწავლო სემინარებს გამართავენ.

სამეცნიერო კონფერენცია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა გახსნა და ქართული ენის დღის დაარსებასა და სახელმწიფო ენის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

კონფერენციის მონაწილეებს თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე მიესალმა და ქართული ენის დღესთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გაუზიარა:

„უნივერსიტეტი ნამდვილად ის კერა იყო, სადაც ქართული საქმე კეთდებოდა. XX საუკუნეში მსოფლმხედველობის თვალსაზრისით ჩვენი ერის ჩამოყალიბებაში რამოდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, მათ შორის, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნება, შემდეგ კი სახელმწიფოებრობის აღდგენა. ეს პერიოდი საინტერესო იმითაც იყო, რომ შეიქმნა და ჩამოყალიბდა სახალხო განათლების სისტემა, რომელიც მანამდე არ არსებობდა. იმ სამწლიან პერიოდში სკოლების რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა. დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდს ოკუპაცია მოჰყვა და კვლავ ჩამოიშალა ეროვნული ინსტიტუტები, გაუქმდა ავტოკეფალია, საქართველო უზარმაზარი სუპერსახელმწიფოს ნაწილად იქცა, თუმცა, დარჩა უნივერსიტეტი, რომელსაც, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი დააკლეს. უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ის ადგილი, სადაც ხდებოდა ინტელექტუალური და ეროვნული ძალების მობილიზება. ეს ნამდვილად სიმბოლური მნიშვნელობის ფაქტია და ჩვენი ვალია — დღესაც ყველას მივცეთ მაგალითი, როგორ უნდა განვითარდეს ქართული ენა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომდინარეობს მუშაობა რამდენიმე საინტერესო პუბლიკაციაზე, რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა, სადაც კარგად ჩანს — თუ როგორ აფასებენ ევროპელი მოაზროვნეები, ინტელექტუალები, იმ დროის პოლიტიკოსები საქართველოს პირველ რესპუბლიკას. მათი აზრით, ეს არის ძალიან მაღალი პოლიტიკური კულტურის ერი, რომლისგანაც ევროპელმა პოლიტიკოსებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ. ჩვენ ასევე კარგად „გამოვიყენეთ“ 100 წლის იუბილე, რომლის ფარგლებში მოვახერხეთ 7 წამყვან ევროპულ უნივერსიტეტთან მემორანდუმების გაფორმება, რომლებიც ეხებოდა ამ უნივერსიტეტებში ქართველოლო-

ბ. 10

ქართული ენის კვირეული

წიგნის „14 აპრილი, 1978“ პრეზენტაცია

თამარ დადიანი

14 აპრილს ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა წიგნის „14 აპრილი, 1978“ პრეზენტაცია (გამომცემლობა „არტანუჯი“). ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოცემა, რომელიც 1978 წლის მოვლენებს ეძღვნება.

წიგნში თავმოყრილია 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების მონაწილეთა ზეპირი ისტორიები, რომელთა ავტორები, ძირითადად, უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, დისიდენტური მოძრაობის წევრები არიან. ეს არის პირველი მცდელობა — შეგროვდეს ინფორმაცია 1978 წელს ქართული ენის დასაცავად განვითარებული მოვლენების შესახებ, რაც მომავალში, შესაძლოა, უფრო ვრცელი სამეცნიერო კვლევის საფუძველიც გახდეს.

კრებული ეძღვნება 1978 წელს თბილისსა და ბათუმში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად განვითარებული მოვლენების 40 წლისთავს. მასში შესულია აგრეთვე კონსტიტუციის ახალი პროექტის განხილვისას ქართველ მეცნიერთა და მწერალთა მიერ სხვადასხვა უწყებაში წარმოთქმული სიტყვები, საარქივო მასალები, ფოტოები, სტატიები. წიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ. პროექტი განხორციელდა გამომცემლობა „არტანუჯისა“ და თბილისის მერიის მხარდაჭერით.

„გამომცემლობა „არტანუჯი“ ასეულობით გამოცემას ითვლის, მაგრამ ეს წიგნი არის ერთ-ერთი ნიშვნელოვანი, ვინაიდან იგი 1978 წლის მოვლენებს ეძღვნება. სამეცნიერო თვალსაზრისით ეს მოვლენები ჯეროვნად არ არის შესწავლილი, მაგრამ ამ ვაკუუმს დღეს კარგად ეხმაურება და ავსებს დიმიტრი შველიძისა და თინათინ ბოლქვაძის სტატიები. აქვეა წარმოდგენილი საარქივო მასალებიც. ესენია საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთა საპროტესტო, კოლექტიური, ინდივიდუალური წერილები, აქვეა სიტყვითი გამოსვლების ჩანაწერები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროა. სამწუხაროდ, არ ჩანს იმ მოვლენების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა (მხოლოდ ერთადერთი ფოტო გვაქვს ბათუმის მოვლენებიდან).

წიგნში მოთხრობილია 6 ბათუმელის და 42 თბილისელის ზეპირი ისტორიები. ამ გამოცემით არ მთავრდება 14

აპრილთან დაკავშირებული ისტორიების თხრობა, ეს არის დასაწყისი იმ ისტორიების გახსენებისა, რომელსაც ათასობით მონაწილე თავის გულში ინახავს. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ მნიშვნელოვანია ამ მოვლენების სამეცნიერო კვლევა და შეფასება“, — განაცხადა ჟურნალ „არტანუჯის“ რედაქტორ-გამომცემელმა ბუბა კუდავამ.

„წიგნში წარმოდგენილია სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, დისიდენტური მოძრაობის წევრთა, ტელეოპერატორთა თუ უბრალო მოქალაქეთა თვალით გაცოცხლებული 1978 წელი ჯერ თბილისში, შემდეგ კი ბათუმში. წიგნს თან ერთვის 1978 წელს კონსტიტუციის ახალი პროექტის განსახილველ კრებაზე ნოდარ წულეისკირის, ბესარიონ ჯორბენაძის, თინათინ შარაშენიძისა და ზაზა ალექსიძის თამამი გამოსვლები და აკაკი ბაქრაძის მოგონება აღნიშნული პროექტის განხილვასთან დაკავშირებით. აქვეა ის დოკუმენტური მასალა, რომელიც შსს სამინისტროს არქივში მოვიძიეთ“, — ვკითხულობთ წიგნის შესავალში, რომელიც ჩვენს თვალწინ აცოცხლებს 40 წლის წინ განვითარებულ მოვლენებს.

„2008 წელს, როცა ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გახლდით, მეგობრებთან ერთად დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება ვითავე. მაშინ გადავწყვიტეთ — მოგვეძიებინა ინფორმაცია და უფრო მეტი რამ გაგვეგო 1978 წლის აპრილის მოვლენების შესახებ, როცა ქართველმა ახალგაზრდებმა უდიდესი საფრთხის ფონზე შეძლეს ეროვნული ღირსების დაცვა და არ დაემორჩილნენ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებას — ახალი კონსტიტუციის პროექტიდან ამოეღო საკანონმდებლო პუნქტი, რომელიც ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებდა. აღმოჩნდა, რომ გარდა მცირეოდენი საგაზეთო სტატიისა და რამდენიმე მოგონებისა, ამ ამბავზე დოკუმენტური მასალა არ არსებობდა. არადა ამ მოვლენების აქტიური მონაწილეები დღეს ჩვენი საზოგადოების წევრები არიან, მათ მეხსიერებაში შემორჩენილი არაერთი დეტალი თუ ეპიზოდი კი, ვფიქრობ, სათანადო წარმოდგენას შეგვიქმნის წლების წინ განვითარებულ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე. სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა, რომ შემეგროვებინა აღნიშნული მოვლენების მონაწილეთა ზეპირი ისტორიები და მეტ-ნაკლები სისრულით თავი მომეყარა ინფორმაციისათვის. ეტაპობრივად ვიწერდი ამ ისტორიებს, პუბლიკაციებს თუ საარქივო მასალებს“, — წერს წიგნის შემდგენელი ანა ბაქანიძე წინასიტყვაობაში.

როგორც ქალბატონმა ანამ განაცხადა, ეს წიგნი არის საეტაპო გამოცემა და მნიშვნელოვანია, რომ ამ მოვლენების კვლევა მომავალშიც გაგრძელდეს: „ეს თარიღი უმნიშვნელოვანესია საქართველოს ისტორიაში, რომლის შესწავლა და გააზრება აუცილებელია. ჩვენთვის მთავარი იყო გვეჩვენებინა — რა და როგორ ხდებოდა იმ მომენტებში. საპროტესტო გამოსვლები ფილოლოგიისა და ისტორიის მიმართულების სტუდენტებმა დაიწყეს, ანუ იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც აქ სწავლობდნენ და რომლებსაც მხარს უჭერდნენ, ამხნევებდნენ და სტიმულს აძლევდნენ უნივერსიტეტის პროფესორები, ლექტორები. უნივერსიტეტს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ენის დაცვის პროცესებში. ყველაფერი ხომ აქედან დაიწყო!

რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძის როლს მოვლენების განვითარების მიხედვით, არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს. მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ მან შეძლო და მშვიდობიანად დაასრულა აქცია, მაგრამ მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ჭიქაში ქარიშხალი თავად გამოიწვია. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება — არ დაერბიათ მშვიდობიანი მომიტინგეები. ასე რომ, ედუარდ შევარდნაძის როლი ამ მოვლენებთან დაკავშირებით უკვე მკითხველის და ისტორიკოსების შესაფასებელია“, — განაცხადა ანა ბაქანიძემ.

პრეზენტაციაზე წიგნის შესახებ ისაუბრეს ისტორიკოსმა სერგო ვარდოსანიძემ, პოეტმა ირაკლი საღლიანმა და სხვებმა.

ღონისძიებას 14 აპრილის მოვლენების მონაწილეები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

მე-9 გვ-დან

გიური ცენტრების დაარსებას. სასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ ქართული ენის შემსწავლელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ამიტომ ჩვენც მზად უნდა ვიყოთ, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენს დოქტორანტებს და პროფესორებს, რათა პოპულარიზაცია გაუწიონ ქართული ენის შესწავლას. მნიშვნელოვანი მოვლენაა, ასევე, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის არსებობა, რომელთან ერთობლივი თანამშრომლობით მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

ქართული ენისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას დაესწრო აკადემიკოსი მზექალა შანიძე, რომელმაც ენის დაცვის მნიშვნელობაზე თავისი აზრი გამოხატა: „დღევანდელი დღის აღნიშვნა ნამდვილად საჭირო და მნიშვნელოვანია. იმის გახსენება, რომ ქართველები მზად იყვნენ — თავიანთი ენის დასაცავად სისხლი დაეღვარათ, ამისი ცოდნა და შეხსენება მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის და მთელი საზოგადოებისთვის. მარტო ენათმეცნიერები და ლიტერატორები ენას ვერ დაიცავენ, საჭიროა ამ პროცესში მთელი საზოგადოება ჩაერთოს. იმედი მაქვს, რომ ქართული ენის პროპაგანდა კიდევ უფრო ფართო ხასიათს მიიღებს. მშობლიური ენა ინდივიდუალური იდენტობის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ ენა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება არ არის. დღეს ენის წინაშე კვლავ ბევრი პრობლემაა. კარგი იყო, რაც 40 წლის წინ გამოხატა ქართველმა ხალხმა, მაგრამ ერთი ქართული ანდაზა გავიხსენოთ: „დათვი ურდულს ამტვრევდა და მელა ხვრელში შემოიპარაო“. ასე შემოგვეპარა ენაში ბარბარიზმები, რაც ანაგვიანებს ქართულ ენას. ამასთან ბრძოლა მთელი საზოგადოებისთვის ნორმად უნდა იქცეს“, — განაცხადა მზექალა შანიძემ.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებები წარმოადგინეს პროფესორებმა: მერაბ ჩუხუამ (დიალექტიკური შედგენილობისა და არქაიზმების შესახებ საერთო ქართველურში), თეიმურაზ გვანცელაძემ (აფხაზური ენის უფლებათა დაცვის ფუნქციონერების, სწავლებისა და კვლევის ძირითადი პრობლემები), ელენე მაჭავარიანმა (ქართული სამსახოვანი დამწერლობა), ნაირა ბეპიევამ (ქართულ- ოსური ენობრივი ნასესხობანი), მაია ლომიამ, ქეთევან მარგიანმა და რამაზ ქურდაძემ (უარყოფითი ნაწილაკის სემანტიკა კავშირებითი კილოს ფორმებთან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში), ნინო შარაშენიძემ (ენობრივ ფორმათა მრავალფეროვნება და გამოწვევები ენის პოლიტიკაში) და სხვებმა.

როგორც ენის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ალიბეგაშვილმა კონფერენციაზე განაცხადა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თანამშრომლობით არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდება, რომელიც ქართული და აფხაზური ენების განვითარებას შეუწყობს ხელს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ

Ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დედაენის დღე მოძრაობის „არა ბარბარიზმებს“ სკოლის მოსწავლეთა კონკურსში — „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას!“ გამარჯვებულთა და ქართული ენის სწავლება-პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონიალით აღინიშნა.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენის სახელმწიფო დეპარტამენტთან და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით გაიმართა.

კონკურსი „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას!“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ეძღვნებოდა და მასში საქართველოს 40 სკოლის 400-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. სკოლის მოსწავლეებმა დაწერეს ესე თემაზე: „რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“, სკოლებმა კი ჩაატარეს ქართული ენისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. საკონკურსო ჟიურიმ გამოავლინა 20 გამარჯვებული მოსწავლე.

ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„მიხარია, რომ დღეს, სწორედ აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენ ასე მნიშვნელოვნად აღვნიშნავთ იმ თარიღს, რომელიც სულ 40 წლის წინ იწყებოდა, როგორც დილა, რომლის ორგანიზატორებსაც ალბათ, ბოლომდე არ ჰქონდათ იმედი როგორ გაგრძელდებოდა დღე და მათი მომავალი, მაგრამ მათ გმირული ნაბიჯი გადადგეს და დაიცვეს ჩვენი მშობლიური ენა და, ამასთან ერთად, სტიმული მისცეს ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღის წამოწყებას. მართლაც, ქართული ენა ჩვენი იდენტობის, ქართული იდენტობის კულტურული, ეთნიკური და მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოებრივი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფენომენია“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, 40 წლის წინ, 14 აპრილს ჩამოყალიბდა ქართული სამოქალაქო საზოგადოება და დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ტალღა. „ძალიან მნიშვნელოვანი დღეა საქართველოს ცხოვრებაში. მე ვიტყოდი, რომ ერთ-ერთი იმ დღეთაგანი, რომელმაც ჩვენი თანამედროვე ისტორია შექმნა. ბევრ მოღვაწეს, რომელიც გამოვიდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ პროცესებში, არ ჰქონდა განცდა იმისა, რომ მართლა შესაძლებელი იყო იმპერიული მანქანის დამარცხება. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მთელი ერი გაერთიანდა ამ იდეის გარშემო და შევძელით ქართული ენის გადარჩენა, როგორც სახელმწიფო ენისა“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა.

ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, გიორგი ალიბეგაშვილის თქმით, 40 წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაძრულმა სტუდენტობამ, პროფესურამ და უფროსი თაობის წარმომადგენლებმა ისტორიულ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ჩაუყარეს საფუძველი. „დღევანდელი დღე 1978 წლის მოვლენების კულმინაციური დღეა. ვფიქრობ, რომ იმ პროცესებს გარკვეული უხილავი ხელი მართავდა და ეს უხილავი ხელი იყო ქართველი ხალხის ნება — მიგვეღო ისტორიული გადაწყვეტილება“, — განაცხადა გიორგი ალიბეგაშვილმა.

კონკურსის გამარჯვებულ მოსწავლეებს და მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისგან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან და თიბისი ბანკისგან გადაეცათ ჯილდოები და სიგელები.

კონკურსში გამარჯვებული, 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლის, გიორგი კომახიძის თქმით, პროექტში მონაწილეობის მიღება და გამარჯვება თსუ-ის 100 წლის იუბილეზე მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. „ჩემი ესე ეხებოდა იმას, თუ როგორ უნდა მოვუფრთხილდეთ მშობლიურ ენას. გამარჯვების მოლოდინი, რა თქმა უნდა, იყო საკმაოდ დიდი და ძალიან გამიხარდა გამარჯვება“, — ამბობს გიორგი კომახიძე.

ღონისძიებაზე ენის სახელმწიფო დეპარტამენტის დედაენის დღის საიუბილეო თარიღისადმი (1978-2018) მიძღვნილი მედლებით და სპეციალური სიგელებით დაჯილდოვდნენ ქართული ენის სწავლებისა და პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ისპანეთის ენების ცენტრის ქართული ენის მასწავლებელი ჰუსეინ მიქელანი (მიქელაძე), ვლადიკავკაზის აკაკი წერეთლის სახელობის მე-19 (ქართული) საშუალო სკოლის დირექტორი ეთერ ფიცხელაური, საზოგადოებრივი მაუწყებლობა აფხაზურენოვანი “მთავარის რედაქტორი; ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის — რადიო “ჰარა დიქტორი ესმა კოკოსკერია, ბოლნისის რაიონის სოფელ ნახიდურის საჯარო სკოლა; ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნუნუ დევნოზაშვილი, მარნეულის 3 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე მაჰდი მამედოვი, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალქალაქის №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნანა კარაპეტიანი, რაგბის ქართული ტერმინების შემქმნელი ზაალ გიგინეიშვილი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ჯასტინ მაკენზი სმიტი, ქართული წერა-კითხვის, ქრთული ლიტერატურის ნიმუშების გამავრცელებელი და პოპულიზატორი ფერეიდანში ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი).

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სახელმწიფო ენისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ხელშეწყობისთვის, ქართული ენის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ღირსების ორდენით დააჯილდოვა ქართველი მეცნიერები: შუქია აფრიდონიძე, ლაურა გრიგოლაშვილი, დამანა მელიქიშვილი, გრივერ ფარულავა; 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დაცვისთვის, სახალხო მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისა და ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შენარჩუნებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე.

„14 აპრილი იყო ძალიან დიდი შეერთების, კონსოლიდაციის, მეგობრობის დღე. ამიტომ ყოველთვის დასამახსოვრებელი იქნება ეს დღე. ჩემთვის ეს ჯილდო მოულოდნელი იყო, მაგრამ იგი მიმაჩნია არა საკუთარ ჯილდოდ, არამედ იმ ღირსშესანიშნავი დღის ჯილდოდ, როდესაც ჩვენ ვიყავით ერთნი“, — აღნიშნა პროფესორმა შუქია აფრიდონიძემ.

დაჯილდოების ღონისძიების დასასრულს კონკურსის მონაწილეებმა საჰაერო ბურთები გაუშვეს წარწერით „არა ბარბარიზმებს!“.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

„ᲛᲔ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ – ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲜᲐ“

პროექტის „მე მიყვარს ქართული — ჩემი სახელმწიფო ენა“ შემაჯამებელი ღონისძიება და დაჯილდოების ცერემონია გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელშიც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, საქართველოს 9 უმაღლესი სასწავლებლის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის „1+4“ სტუდენტები მონაწილეობდნენ.

კონკურსის 45-მა მონაწილემ დავით ტურაშვილის მოთხრობა „კურკა“ კარნახით დაწერა. გამარჯვებულ სტუდენტებს სპეციალური დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიედრიუს პუოჯუნასი და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, წლევანდელი პროექტი მასშტაბური იყო. „ძალიან კარგია, რომ ჩვენს ეთნიკურად არაქართველ ახალგაზრდებს საშუალება აქვთ სახელმწიფო ენა შეისწავლონ, სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირდნენ, კარიერული წინსვლა და ყველა ის სიკეთე ჰქონდეთ, რომელიც საქართველოს მოქალაქის მაღალ წოდებასთან არის დაკავშირებული“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა განაცხადა, რომ პროექტი სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. „დარწმუნებული ვარ, ჩვენი ახალგაზრდებისთვის ეს იქნება სამომავლო წარმატების წინაპირობა. ვიცი, რომ ბევრი სასწავლებელი და სტუდენტი იყო ჩართული. ვფიქრობ, რომ მონაწილეობა უკვე არის გამარჯვება და ეს არის ნიშანი იმის, რომ გაცნობიერებული გვაქვს სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა“, — აღნიშნა ქეთევან ციხელაშვილმა.

„ეს პროექტი არის სახელმწიფოს ზრუნვის გამოხატულება ამ სტუდენტებთან მიმართებით. სახელმწიფო ამით ხელს უწყობს მათ, რომ შეიყვარონ, დახვეწონ და შეისწავლონ კიდევ უფრო მეტად ქართული ენა“, — აღნიშნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა.

პროექტის მონაწილეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ტირუჰი პეტროსიანის თქმით, „აუცილებელია, საქართველოს ყველა მოქალაქემ ისწავლოს ქართული ენა. ეს პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან არაქართულენოვანი სტუდენტები იღებენ მონაწილეობას და ქართული ენის ცოდნას აჩვენებენ“.

აღნიშნული ღონისძიებით დაიხურა ქართული ენის კვირეული, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

თამარ ზარანდიას კვლევები სანივთო სამართლის მიმართულებით

ნატო ობოლაძე

იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თამარ ზარანდია სანივთო სამართლის სახელმძღვანელოს განახლებაზე მუშაობს. იგი უკვე მეორე წელიწადია კვლევას ჰამბურგის მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში ახორციელებს. 2016 წელს ავტორმა სანივთო სამართლის სახელმძღვანელოს შეზღუდული რაოდენობა გამოსცა. თამარ ზარანდია მაქს პლანკში ვიზიტს წელსაც გეგმავს. ამჯერად მისი კვლევა ეხება ქართულ სანივთო სამართალს, როგორც გერმანული სამართლებრივი ტრადიციის ნაწილს. ამ კვლევას ავტორი ჰამბურგის მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელთან ევგენია კურცინსკი სინგერთან ერთად ახორციელებს. პარალელურად, ავტორი სანივთო სამართლის სახელმძღვანელოს მეორე შევსებულ გამოცემას გეგმავს, რომელშიაც ქონების, მფლობელობისა და საკუთრების გარდა, იქნება სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობისა და სამეზობლო სამართლის ნაწილი.

თამარ ზარანდია

იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თქმით, სანივთო სამართლის მიმართულებით კვლევების აქტუალურობას და აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოში, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, საკუთრების უფლების ტრანსფორმაციის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს — მოხდა სოციალისტური საკუთრების ცნებიდან საკუთრების უფლების თანამედროვე გაგების ფორმირება, სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, რამაც ქვეყანა ახალი სამართლებრივი გამოწვევების წინაშე დააყენა.

„2017 წლის ზაფხულში ვმუშაობდი მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში სანივთო სამართლის საკითხებზე, ორთვიანი სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში. მაქს პლანკის სტიპენდია კარგი შესაძლებლობაა მეცნიერებისთვის — შეხედო საკუთარი ქვეყნის სამართალს „გარედან“ და ნახო, როგორ მუშაობს ესა თუ ის ინსტიტუტი იმ ქვეყნის სამართალში, რომლიდანაც მოხდა მისი რეცეფცირება. ქართული კერძო სამართალი გერმანული კერძო სამართლის რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბდა, თუმცა ეს უფრო შეეხო სტრუქტურულ ნაწილს. ძალიან ბევრი საკითხი გერმანულსა და ქართულ კერძო სამართლებრივ სისტემებში განსხვავებულად არის მოწესრიგებული. რეცეფცია გულისხმობს, რომ სამართლებრივი ნორმა აბსოლუტურად განსხვავებულ სოციალურ გარემოში ხვდება და სხვაგვარად ვითარდება. ის ინტერესთა ბალანსი, რაც გერმანულ კანონმდებლობაშია ჩადებული, აბსოლუტურად განსხვავებულად მუშაობს ქართულ სამართალში. განსხვავებულია სასამართლო პრაქტიკაც. გერმანულ სამართალში მოსამართლეები ნორმების განმარტებისას სამართლებრივი პრინციპებით ხელმძღვანელობენ, საქართველოში, ძირითადად — ფორმალურ სამართლებრივად, სიტყვა-სიტყვით განმარტავენ, რასაც ხშირად სამართლიან შედეგებამდე ვერ მივყავართ. სწორედ ამიტომ, შედარება გერმანულ სამართალთან განსაკუთრებით რელევანტურია და ამ პროცესში ორმხრივი (ქართულ-გერმანული) ჩართულობა მნიშვნელოვანია“, — განაცხადა თამარ ზარანდიამ.

მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტთან თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი 2007 წლიდან თანამშრომლობს. მიმდინარე წელს უკვე დაგეგმილია ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც კერძო ავტონომიის თემატიკას მიეძღვნება. კონფერენცია უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნება და მისი მხარდამჭერი იურიდიული ფაკულტეტის პარტნიორი — GIZ — იქნება.

„კონფერენციის თემაა „კერძო ავტონომია, როგორც კერძო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი“. მოცემულ თემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამართლის განვითარებისთვის. სამართლის ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ დასრულებული არაა, გულისხმობს სვლას სახელმწიფოზე ორიენტირებული პრინციპებისკენ და საბაზრო ეკონომიკის და კერძოსამართლებრივი სტრუქტურების მიმართულებით. ამ გზაზე წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია ცალკეული პიროვნებების პირადი თავისუფლების ხარისხის ამაღლების გარეშე. იმავდროულად, კერძო ავტონომია შეზღუდულია საჯარო ინტერესებით და უფრო სუსტი სახელშეკრულებო მხარის ინტერესების დაცვის აუცილებლობით. აი, სწორედ ამ ასპექტების დაპირისპირების სხვადასხვა გადასახედიდან განხილვა წარმოადგენს კონფერენციის მიზანს.

მონაწილეთა თხოვნით, კონფერენციის ჩატარების ადგილად თბილისი შეირჩა. აღსანიშნავია, რომ თსუ-ში გამართული კონფერენციები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი დონით და უცხოელი მეცნიერების მხრიდან მაღალი შეფასებებით“, — აღნიშნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში — „კერძო ავტონომია, როგორც კერძო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი“ — 6 ქვეყნის 60-მდე მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას.

კიბერუსაფრთხოება: საქართველო და შავი ზღვის რეგიონი

რა არის კიბერუსაფრთხოება და როგორ დგას ეს პრობლემა მსოფლიოში — ამ აქტუალურ თემას ეხმაურება 2 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული საერთაშორისო აკადემიური კონფერენცია — „კიბერუსაფრთხოება: საქართველო და შავი ზღვის რეგიონი“, რომელიც თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, სავოის უნივერსიტეტის კასტექსის სახელობის კიბერსტრატეგიის კათედრამ და უნივერსიტეტმა (პარიზი-8) ერთობლივად მოამზადეს.

კონფერენცია გახსნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს საკითხი ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა: „ჩვენი რეგიონი ძალიან მგრძნობიარე გახლავთ კიბერშეტევების მიმართულებით. 2008 წელს, როცა ამგვარი ფაქტი საქართველოშიც დაფიქსირდა, ჩვენ გავიაზრეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციული უსაფრთხოება ერისა და სახელმწიფოსთვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ასეთ პრობლემებს. ჩვენი ამოცანაა, დავაარსოთ კავკასიის ყველაზე დიდი კვლევითი ინსტიტუტი, რომლის შესწავლის არეალი კიბერუსაფრთხოება იქნება. უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რომ კიბერუსაფრთხოებამ მიიღოს კვლევის ფორმა, ჰქონდეს მეცნიერული საფუძველი და გააზიაროს საკვლევი თემები, რომლებიც ძალიან ბევრს დააინტერესებს. კვლევითი ინსტიტუტის დაარსებაში დაგვეხმარებიან უცხოელი კოლეგები ევროპიდან. მინდა მოვუხმო მეცნიერებსა და მკვლევრებს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ასეთ კონფერენციებში, რათა წარმოდგენა შექმნან კიბერუსაფრთხოების შესახებ და გაიაზრონ შესაძლო პრობლემები“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის რექტორმა ჟან-ივ ლავუარიმ გამოსვლაში კმაყოფილება გამოხატა, რომ აკადემიური კონფერენცია იმ უნივერსიტეტში გაიმართა, სადაც მუდმივად აღრმავებენ ქართულ-ფრანგულ თანამშრომლობას. მისი თქმით, საფრანგეთის საელჩო და ფრანგული ინსტიტუტი ერთობლივად მუშაობენ იმ კუთხით, რომ საქართველო გახდეს საგანმანათლებლო ცენტრი და პარტნიორი.

სავოის უნივერსიტეტის კასტექსის სახელობის კიბერსტრატეგიის კათედრის პროფესორმა კავ სალმატიანმა დადებითი შეფასება მისცა საქართველოსა და საფრანგეთის ერთობლივ პროექტებსა და კონფერენციებს, რომელიც ორივე მხარისთვის შემეცნებით ხასიათს ატარებს. „ჩვენ ქართველ კოლეგებს და, რაც მთავარია, სტუდენტებს გავუზიარეთ ცოდნა კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით. ვფიქრობ, რომ აქცენტი სტუდენტებზე უნდა გაკეთდეს, რადგან ეს ის მომავალია, რომელიც ამ სფეროში უფრო გარკვეული იქნება“, — თქვა მან.

კონფერენციაზე ინტერესი გამოიწვია თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორის ალექსანდრე კუხიანიძის მოხსენებამ — „უსაფრთხოების თეორიის ცვლილებებთან დაკავშირებული ახალი საფრთხეები“, რომელშიც განხილული იყო ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა კიბერთავდასხმები, ხაკერების საქმიანობა, ვებსერვერების დაზიანება და სხვ. „ამ პრობლემებზე ძალიან ცოტა ხალხი მუშაობს. თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ჩვენი ფრანგი კოლეგები თანამშრომლობის საწყის ეტაპზე ვართ. დაგეგმილი გვაქვს მსჯელობა კიბერუსაფრთხოებისა და მასთან დაკავშირებულ გეოპოლიტიკის საკითხებზე, რასაც მოჰყვება კავშირების დამყარება და უკვე ერთობლივ პროექტებში მონაწილეობა. ამ კონფერენციის მუშაობაში, გარდა პროფესორებისა, ჩართულნი არიან როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტები. კონფერენციის ერთ-ერთი მიზანი გახლავთ, რომ უფრო კარგად გავაცნოთ ჩვენს სტუდენტებს, რა არის კიბერუსაფრთხოება და როგორ დგას ეს პრობლემა მსოფლიოში. იმედი გვაქვს, რომ მომავალში კიბერუსაფრთხოების დარგში ძალიან კარგი სპეციალისტები გვეყოლება“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ალექსანდრე კუხიანიძემ.

კონფერენციაზე წარმოადგინეს მოხსენებები, რომლებიც შეეხებოდა მულტიდისციპლინურ მიდგომებს კიბერუსაფრთხოებისადმი, ციფრული საინფორმაციო ომის მეფინგს, კიბერსივრცის გეოპოლიტიკური საზღვრების მეფინგს, კიბერუსაფრთხოებას საქართველოში და სხვ. მათ შორის საინტერესო იყო ააიპ ინტერნეტის განვითარების ინიციატივის გამგეობის თავმჯდომარის ვლადიმერ სვანაძის მოხსენება, რომელიც განიხილავდა საქართველოს კიბერუსაფრთხოების ახალ გამოწვევებს.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ, განსხვავებით 2008 და 2014 წლებისაგან, დღეს საქართველოს წინაშე კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით კიდევ უფრო სხვა გამოწვევები დგას: „მსგავსი კონფერენციები ძალიან კარგი და დადებითი მოვლენაა, რადგან აქამდე კიბერუსაფრთხოების შესწავლა მხოლოდ ტრენინგების და სერტიფიცირებული კურსების დონეზე ხდებოდა, ამ კონფერენციით კი ჩვენ უკვე აკადემიურ დონეზე ვაანალიზებთ პრობლემას. კარგია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველმა გამოიჩინა ინიციატივა ამ მიმართულებით. გასული წელი საქართველოსთვის ძალიან აქტიური და წარმატებული იყო, რადგან 2017 წლის იანვარში პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა კიბერუსაფრთხოების უკვე მეორე სტრატეგიას. საამაყოდ მინდა აღვნიშნო, რომ ერთ-ერთი კონტრიბუტორი ამ სტრატეგიისა მეც გახლდით. ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში საქართველომ რამდენიმე მონაცემით საკმაოდ პრესტიჟული ადგილები — დსთ-ის ქვეყნებში პირველი, ხოლო ევროპაში მეორე ადგილი დაიკავა გლობალურ მედიაში. ასევე კარგი მონაცემები გვაქვს ესტონეთის მიერ გაანგარიშებული ნაციონალური უსაფრთხოების ინდექსის მიხედვითაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა სწორად მიმდინარეობს. დღეისათვის საქართველოსთვის მთავარ გამოწვევად რჩება რუსეთი. 2008 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, ეს ქვეყანა საკმაოდ აქტიურობდა საქართველოს კიბერსივრცეში — იყო ძალიან სერიოზული კიბერშეტევები უსაფრთხოებისა და ფინანსური ინსტიტუტების მიმართულებითაც. ამ ეტაპზე კი რუსეთი უკვე სხვა მიმართულებაზე — fake news-ებსა და პროპაგანდის მიმართულებაზე გადავიდა. ვფიქრობ, ამგვარი კონფერენციები და მეცნიერული კვლევები უფრო მეტად მოამზადებს ქვეყანას კიბერშეტევების თავიდან ასაცილებლად, რისთვისაც მუშაობა მეტად უნდა გააქტიურდეს“, — აღნიშნა ვლადიმერ სვანაძემ.

კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ქართულ-ფრანგული ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება და მასში თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი აქტიურად ჩაერთვება.

ლიანა მარქარიანი

ქიმია, უნივერსიტეტი და მისი უდიდებულესობა – მეცნიერი!

შტრიხები ელიზა მარქარაშვილის პორტრეტისთვის

მაია ტორაძე

ჯასპში, ჩვეულებრივი მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. არასოდეს უფიქრია, რომ ცხოვრებას და მთელ თავის საქმიანობას ქიმიას მიუძღვნიდა, თუმცა ეს მანამ, ვიდრე სკოლის გაკვეთილზე პედაგოგი — ქალბატონი ნუნუ ლაცაბიძე შევიდოდა. იმ დღეს დაიწყო პირველი გაკვეთილი და მას მერე ქიმიას აღარასდროს მოსცილებია — ხან სახლში, ხანაც მასწავლებელთან ერთად, გაკვეთილების შემდეგ, მენდელეევის ცხრულის სიღრმეებში ისწავლა ხეტიალი. სკოლის დასრულების შემდეგ კი სხვაგან წასვლა არც უფიქრია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოაშურა — ისწავლა, დაამთავრა, აქვე დაიწყო მუშაობა და მეტი სამუშაო ადგილი მის ბიოგრაფიაში არც არის — 1982 წლიდან დღემდე სამსახურეობრივი გამოცდილების გრაფაში ყველგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია მითითებული.

ამ ადამიანს იცნობს ყველა, ვისაც ერთხელ მაინც შეუვლია თვალი ქიმიკოსების მიერ მოწყობილი სამეცნიერო, სტუდენტური თუ საბავშვო ღონისძიებებისთვის — ათასგვარ ქიმიურ ცდებსა და ფერად-ფერად „დრაკონებში“ მუდმივად ჩანს მომღიმარი, მოფუსფუსე და დაინტერესებული ადამიანებისთვის ყველა კითხვაზე მოპასუხე ქალბატონი ელიზა მარქარაშვილი — ქიმიის დოქტორი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორი და უბრალოდ, თავისი საქმის პროფესიონალი.

უნივერსიტეტში 1976 წელს ჩაირიცხა. ამბობს, რომ ქიმიისადმი ინტერესი ლექტორებმა, განსაკუთრებით კი დოცენტმა ცისანა ვარდოსანიძემ და აკადემიკოსმა ლოტარ ხანანაშვილმა გაუღრმავეს, რადგან მონდომებას ამჩნევდნენ და ხელსაც უწყობდნენ, რომ სასწავლო მივლინებებში ევლო და ცოდნა სხვადასხვა მოწინავე უნივერსიტეტში გაეღრმავებინა. ასე მოიარა ბალტიისპირეთის ქვეყნები, უკრაინა, რუსეთი — მოსკოვის და ლენინგრადის ინსტიტუტები, საკანდიდატო დისერტაციის ძირითადი ნაწილიც იქ გააკეთა და 1989 წელს დაიცვა კიდეც მაკრომოლეკულების ქიმიაში. ახლა მადლიერებით იხსენებს თავის პედაგოგებს და მხოლოდ ერთ რამეზე წყდება გული — თავის დროზე არ გამოიყენა გერმანიაში წასვლის შესაძლებლობა, რომელიც ბატონმა ლოტარ ხანანაშვილმა მისცა: „რომ წავსულიყავი, ალბათ, ჩემი ცხოვრებაც სხვანაირად წარიმართებოდა, თუმცა ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია, რომ 31 წლის ასაკში დამეცვა საკანდიდატო დისერტაცია. ვფიქრობ, ცხოვრებაში სწორი არჩევანი გავაკეთე — ქიმია ჩემთვის ყველაფერია“, — ამბობს ქალბატონი ელიზა და ლაბორატორიისკენ გვითითებს — „აქ გავატარე თითქმის 37 წელი, გავიარე გზა მეცნიერ-თანამშრომლობიდან ლაბორატორიის გამგეობამდე და ვერც წარმომედგინა, თუ ოდესმე სხვა საქმის კეთება მომინდება, ოღონდ ესაა, ადრე უფრო კვლევები მაინტერესებდა, ახლა კი პედაგოგიური მოღვაწეობა უფრო მხიბლავს სტუდენტებთანაც და სკოლის მოსწავლეებთანაც“.

ელიზა მარქარაშვილი ათამდე სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის ავტორია, მათ შორისაა რამდენიმე წიგნი ომარ მუკბანიანთან, ჯ. ანელისთან და თამარ თათრიშვილთან თანაავტორობით. მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, იყო 10 საერთაშორისო და 5 ადგილობრივი საგრანტო პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელი და მეცნიერ-თანამშრომელი. აქტიურადაა ჩართული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში. ამას გარდა, ქალბატონი ელიზა არის ლექტორი, რომელიც მუდმივად ზრუნავს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და მათ ოლიმპიადებში ჩასართავად. იგი კურირებს საწარმოო პრაქტიკასაც: „სასწავლო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია საწარმოო პრაქტიკის არსებობა, რომ სტუდენტს შეეძლოს ქიმიური ნაერთების სინთეზი ანალიზის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ის სწორედ ამ პროცესში ეუფლება ექსპერტიზის საფუძვლებს, რაც საშუალებას მისცემს, გასცეს კონკრეტული რეკომენდაციები ამა თუ იმ თვისების მქონე მასალის დამზადებაზე, ან უზრუნველყოს დამზადებული პროდუქტის, სასმელის და მასალის საექსპლუატაციო თვისებების კონტროლი უსაფრთხოების ნორმებისა და ეკოლოგიის დაცვით. ჩვენთან საწარმოო პრაქტიკა ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე ხორციელდება და მეამაყება, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ქიმიის მიმართულების 40-მდე კურსდამთავრებული დასაქმდა პარტნიორ ორგანიზაციებსა და სააგენტოებში“, — გვითხრა ქალბატონმა ელიზამ და შეგვახსენა, რომ მარტის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა სწორედ ამ საწარმოო სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის დააჯილდოვა ოცამდე პარტნიორი ორგანიზაცია, მათ შორის: „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო, კომპანია „ავერსი“, შპს „ჯორჯიან ვოთერს ენდ ფაუერი“, ქართული ლუდის კომპანია „ზედაზენი“, „ჰენკელ ბილდინგ ქემიკალს ჯორჯია“, რძის პროდუქტების კომპანია „მილკო ფუდი“, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო, სამხედრო-სამრეწველო ცენტრი „დელტა“, სოფლის მეურნეობის ლაბორატორია და სხვები. ქიმიის მიმართულების პროფესურასთან ერთად, ამ წარმატებაში ქალბატონ ელიზასაც მიუძღვის დიდი წვლილი.

თითქოს ეს საქმიანობა ერთი ადამიანისთვის საკმარისი უნდა იყოს, მაგრამ მთავარი თურმე წინ ელოდა — იგი უკვე რამდენიმე წელია თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ქიმიის კოორდინატორია და ბავშვებთან ურთიერთობამ საკუთარ თავში კიდევ ახალი მისწრაფება აღმოაჩენინა — მოსწავლეების მეცნიერებით დაინტერესება: „მათთან ძალიან საინტერესოა სალექციო კურსის ჩატარება. სახალისო ლექციებსაც ვატარებთ და ცდებსაც. კვირაში ორჯერ მოდიან სხვადასხვა სკოლიდან, როგორც რაიონებიდან, ასევე თბილისიდან. ამ საქმეს ხალისით ვაკეთებ, რადგან ქიმიის გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრება, მითუმეტეს დღეს, როცა ჩვენ გარშემო მუდმივად ქიმიური რეაქციები მიმდინარეობს — მაგალითად, როცა ჰაერს შევისუნთქავთ, ჟანგბადის მოლეკულები ჩადის, ამოვისუნთქავთ — CO_2-ის მოლეკულები ამოდის; როცა წყალს ან თუნდაც ჩაის ან ყავას სვამთ, წყლის მოლეკულებს ვყლაპავთ... რასაც ჩვენ აქ, ლაბორატორიაში ვაკეთებთ, ეს, ფაქტობრივად, სახლში ტაფებზე და ქვაბებში კეთდება — იქნება ნამცხვრის, პურის გამოცხობა თუ სადილის გაკეთება — ყველაფერი ქიმიაა. ჩვენს ორგანიზმშიც ქიმიური პროცესი მიმდინარეობს, რომელსაც ფერმენტები წარმართავენ და ასე შემდეგ. სწორედ ასეთ საკითხებში ვათვითცნობიერებთ მოსწავლეებს და ვაყვარებთ ქიმიას“, — ასე გვიხსნის ახალ გატაცებას მეცნიერი და იქვე გვიჩვენებს თავისი ავტორობით გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოებს: „ქიმია, თაფლი, ყავა, შოკოლადი“, „ქიმია ყოფა-ცხოვრებაში“, „ქიმია და სამკაული“, „ქიმია და მედიცინა“, „ქიმია და მშენებლობა“. ეს სახელმძღვანელოები დიდი პოპულარობით სარგებლობს სკოლებში. მაგალითად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა ვაჟა ღავთაძემ პროექტი „თავისუფალი

ელიზა მარქარაშვილი

გაკვეთილები“, რომელშიც საგრანტო დაფინანსება მოიპოვა, მთლიანად ქალბატონი ელიზას დამხმარე სახელმძღვანელოებზე ააგო. უნივერსიტეტთან ასევე ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ ბათუმის კერძო სკოლა „ლამპარსა“ და საქართველოს საპატრიარქოს წმ. იოანე ბოლნელის სახელობის სკოლას.

„ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის, რაც ძალიან მარტივად ვისწავლე თეორიულად, ასე ძნელი განსახორციელებელი იქნებოდა ლაბორატორიაში. ყველაფერი თავიდან უნდა ვისწავლო და გავიაზრო. ეს ძალიან კარგი გაკვეთილია ჩემთვის. თეთრ ხალათში მუშაობა უჩვეულო და სასიამოვნოა. დიდი მადლობა ამისთვის“, — ეს მარი ბროსეს სკოლის მოსწავლის, სოფო მებაღიშვილის შთაბეჭდილებაა „საბავშვო უნივერსიტეტის“ სასწავლო აქციის თაობაზე. ამგვარ ჩანაწერებს ლაბორატორიის სამახსოვრო წიგნში ბევრს შეხვდებით. მოსწავლეებმა კი, შესაძლოა, არც იციან, რომ ყველაფრის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი თეთრ ხალათში გამოწყობილი ის ქალბატონია, რომელიც ახლა ემოციით გვიყვება ქიმიის როლზე ყოფა-ცხოვრებაში: „ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები მუდმივად სარგებლობენ ისეთი საგნებით და ნივთიერებებით, რომლებიც ქიმიური გარდაქმნის შედეგადაა მიღებული. საითაც უნდა გაიხედოთ, დაინახავთ საგნებსა და ნაკეთობებს, რომლებიც დამზადებულია ქიმიურ ქარხნებსა და ფაბრიკებში მიღებული მასალებისა და ნივთიერებებისგან. ამდენად, ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისდაუნებურად, ყველა ჩვენგანი ვატარებთ ქიმიურ რეაქციას, მაგალითად, საპნით ხელის დაბანის, სარეცხის რეცხვის, ცხელ ჩაიში ლიმონის ნაჭრის ჩაგდების დროს — როცა ჩაი, ლაკმუსის მსგავსად, ინდიკატორია. საკვების მომზადებაც ქიმიური პროცესია. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ ქიმიკოსები კარგი კულინარები არიან — საკვების მომზადება ხშირად ლაბორატორიაში ორგანული ნაერთების სინთეზს მოგვაგონებს“, — ამბობს იგი და ჩვენს კითხვაზე, უძნელდება თუ არა ყოფითი ცხოვრება იმის გამო, რომ ბევრი რამ იცის, გვპასუხობს: „ქიმია ხელს მიშლის იმაში, რომ შეიძლება მომეწონოს რაღაც საგანი, მაგრამ ვერ შევიძინო. მაგალითად, შეიძლება გარეგნულად მომხიბლოს ქვაბმა, ტაფამ, ტანსაცმელმა, ან კოსმეტიკამ, მაგრამ ვითვალისწინებ — როდესაც კანი ოფლიანდება, განსაკუთრებით ზაფხულში, ის ქიმიური საღებავები, რომლებიც ტანსაცმელში ან კოსმეტიკურ პროდუქტშია გამოყენებული, ჩვენს კანში შედის, ამიტომ ხშირად არჩევანის წინაშე ვარ. ეს ეხება საკვებსაც, რომელშიც ძალიან ბევრი ისეთი დანამატია, რომელიც არ უნდა მივიღოთ. რომ ჩავუღრმავდები, ფაქტობრივად, ბევრი რამ არ უნდა ჭამო, კარაქიც კი ყველა არ იჭმევა, ამას სპეციალური ანალიზი სჭირდება. რძის პროდუქტებიც საკმაოდ საშიშია, მასში ხელოვნური ფხვნილებია გამოყენებული. ცალკე პრობლემაა ის კონტეინერები, რაშიც საკვები თავსდება — შესაძლებელია გარკვეული დროის შემდეგ იმ მასალიდან პროდუქტში გადავიდეს მავნე ნივთიერებები და ბევრი დაავადება გამოიწვიოს. უმჯობესია, გამოვიყენოთ უფერო, გამჭვირვალე საკვები კონტეინერები, მინის ბოთლები და ქაღალდის შესაფუთი მასალები.

ბოლოდროინდელ სამეცნიერო აქტივობას რაც შეეხება, ელიზა მარქარაშვილი ჩართულია ყველა იმ კვლევაში, რასაც მაკრომოლეკულების ქიმიის მიმართულება ახორციელებს, ძირითადად ეს შეეხება პოლიმერებს, რომელიც სილიციუმ-ორგანული ნაერთების ბაზაზეა მიღებული. ეს არის ელექტროგამტარი მემბრანები, რომლებსაც ფართო გამოყენება აქვთ. ლაბორატორია ასევე მუშაობს საშენ მასალებზე, მათ სურთ ფორმალდეჰიდური ფისები შეცვალონ სხვა შემკვრელით, რომ, მაგალითად, საავეჯო (და სამშენებლო) მასალები უსაფრთხო გახდეს, მაგრამ ამის დანერგვა ძნელია, რადგან ამას ბიზნესი განსაზღვრავს.

მეცნიერმა ზუსტად იცის, რომ ქიმიის განვითარებისთვის სტუდენტები და მოსწავლეები მეტად უნდა დაინტერესონ, უნდა შეიქმნას ლაბორატორიები, შეიცვალოს სასწავლო ლიტერატურა როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე სკოლებში: „სკოლებს არ აქვთ ცდების ჩატარების შესაძლებლობა და პრაქტიკაში ვერაფერს აჩვენებს მოსწავლეებს. რეაქტივების შეძენა ძვირია. ჩვენც კი გვიჭირს. როცა სამეცნიერო ფესტივალისთვის ვყიდულობთ რეაქტივებს, ნაწილი გვრჩება და იმას ვიყენებთ „საბავშვო უნივერსიტეტის“ მსმენელებისთვის. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს — შესაცვლელია იმ მხრივ, რომ ზოგ წიგნში ვერ გაიგებ სად იწყება დავალება და სად არის თეორია, არეულია ყველაფერი. ასევე უნდა შეიცვალოს სწავლების მეთოდიც. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლება უფრო პრაქტიკული უნდა გახდეს, ახალგაზრდებს მეტი ხალისი უნდა მივცეთ, სხვანაირი მიდგომები სჭირდებათ“, — ამბობს იგი და მთლიანად ანგრევს აქამდე გავრცელებულ მოსაზრებას, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დაინტერესებულთა დასაქმების ბაზარი ვიწროა: „ვთვლი, რომ ქიმია საჭიროა ყველგან, სადაც კი ახალი კომპანია იხსნება. მაგალითად, შემიძლია ჩამოვთვალო 20 კომპანია, რომლებიც ხელს გვიწყობენ სტაჟირებაში, რის შემდეგაც ბოლო 3 წლის განმავლობაში 40-მდე სტუდენტი დატოვეს სამუშაოდ. ანუ დასაქმება უკვე რეალურია კვების მრეწველობაში, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებაში, კოსმეტიკური საშუალებების წარმოებაში, გარემოს დაცვის სააგენტოში, სადაც საკმაოდ აქტიურად გადიან პრაქტიკას. ამით იმის თქმა მინდა, რომ უკვე გაჩნდა ადგილები, რომლებიც ქიმიკოსებმა უნდა დაიკავონ და დასაქმებაც რეალურია“.

მოვა მომავალი სამეცნიერო ფესტივალი, გაიშლება საგამოფენო სტენდები და ბევრი ჩვენგანი ისევ შეხვდება პრეზენტატორებს შორის მოფუსფუსე თეთრხალათიან ქალბატონს — მისი მახვილი თვალი ისევ ჩასწვდება ყველა ცდას, ყველა რეაქტივის გამოყენებას, ისევ ამოიფრქვევა ფერადი „დრაკონი“ კოლბიდან და ამ ჯადოსნობის ცქერით გართულ ადამიანებს ისე, სხვათა შორის, თამაშ-თამაშით აუხსნის ურთულეს ქიმიურ რეაქციას. ეს ელიზა მარქარაშვილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი, მეცნიერი და, უბრალოდ, თავისი საქმის უბადლო მცოდნე; ადამიანი, რომელიც მუდამ ჩუმად, თავმდაბლად უხდის ხარკს მეცნიერებას — მის უდიდებულესობა ქიმიას!

ახალგაზრდა უნივერსიტეტელი მკვლევრები

ნატო ობოლაძე

თინათინ მაჭარაშვილი

თინათინ მაჭარაშვილი ქ. მონპელიეს პოლ ვალერის სახელობის უნივერსიტეტისა და ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ერთობლივი ფაკულტეტის, ფრანგული ენის ფილოლოგიის სტუდენტი 2000 წელს გახდა. იმავე წელს ქ. სტრასბურგის რობერ შუმანის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრატურაზე, ტელეჟურნალისტიკის განხრით, ჩაირიცხა.

„საფრანგეთში სწავლის პერიოდში შევიძინე დიდი გამოცდილება, რადგან სამაგისტრო პროგრამა მოიცავდა სამი სახის სტაჟირებას: ადგილობრივ ბეჭდვით მედიაში, ადგილობრივ სატელევიზიო მაუწყებლობაში, ერთთვიან სტაჟირებას საზღვარგარეთ. 2004-2006 წლებში პრაქტიკანტი გახლდით საფრანგეთის სამ წამყვან ტელევიზიაში: TF1, Frane 2, Frane 3 Alsae ; ბეჭდვით მედიას რაც შეეხება, საზაფხულო არდადეგების პერიოდში გაზეთ „24 საათში“ ვიყავი სტაჟირებაზე, ხოლო სტრასბურგში ორი წლის განმავლობაში სტატიებს ვბეჭდავდი ორ სტუდენტურ გაზეთში „News d'Ille“, „Notre Cité“, ასევე მქონდა ბედნიერება გავცნობოდი ევროპარლამენტის პრესსამსახურის მუშაობას. რაც შეეხება საზღვარგარეთ სტაჟირებას, 2006 წლის მაისში გახლდით შანხაიში, სადაც ჩემს ჯგუფელებთან ერთად გადავიღე დოკუმენტური ფილმი „Ventre de Shanghai“, რომლის სიუჟეტი გახლდათ — თუ როგორ იკვებებოდა 20 მილიონიანი ქალაქი. ამჟამად, როგორც ფრანგული ენის ფილოლოგი, ვმუშაობ „ევროპულ სკოლაში“, ხოლო როგორც ჟურნალისტი — სადისერტაციო ნაშრომზე“, — განაცხადა თინათინ მაჭარაშვილმა.

თინათინ მაჭარაშვილი ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების დოქტორანტია. მისი სადისერტაციო ნაშრომი „ინფორმაციის ვიზუალიზების ტენდენცია თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში — 2012-2014 წლების გამოცდილება“ წარდგენილია სადისერტაციო საბჭოში განსახილველად.

„სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლავთ ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მას დიდი მადლობა გადავუხადო, რადგან ფასდაუდებელი დახმარება გამიწია კვლევის სწორად წარმართვასა და ტექსტზე მუშაობისას. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში ინფორმაციის ვიზუალიზების ხერხები და მათი სემიოტიკური ანალიზი, რამაც მოგვცა საფუძველი — დაგვესკვნა, რომ თანამედროვე ბეჭდვითი მედიის სულ უფრო მოჭარბებული სიტყვიერ-ვიზუალური ხასიათიდან გამომდინარე, ვერბალური ნაწილის შემცირება ვიზუალურის ხარჯზე არათუ ამცირებს ან ინარჩუნებს, პირიქით, აფართოებს კიდეც საინფორმაციო ველს, ხოლო მასში გადმოცემული იმპლიციტური ინფორმაცია ზრდის რეციპიენტზე ფარული ზემოქმედების ხარისხს“, — აღნიშნა დოქტორანტმა.

თინათინ მაჭარაშვილი რამდენიმე სამეცნიერო სტატიის ავტორია. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, თინათინ მაჭარაშვილი კვლევებისა და აკადემიური საქმიანობის გაგრძელებას გეგმავს.

„ძალიან მომწონს კვლევის პროცესი, ამიტომ ვფიქრობ, ამ კუთხით გავაგრძელებ მუშაობას და, ასევე, პარალელურად წავიკითხავ ლექციებს, რათა შეძენილი ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო სტუდენტებს“, — გვითხრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა.

გიორგი ჩაკვეტაძე

გიორგი ჩაკვეტაძე იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის უფროსი სპეციალისტი, ფაკულტეტის ასისტენტი და დოქტორანტურის სასწავლო საფეხურის სტუდენტია. კვლევას სისხლის სამართლის მიმართულებით აწარმოებს. აკადემიური აქტივობა 2013 წლიდან დაიწყო — სულხან საბას სასწავლო უნივერსიტეტში კითხულობდა „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სისხლის სამართალში“, იყო მოწვეული ლექტორი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში, ასევე 2016 წლამდე მოწვეული ლექტორი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ დროისთვის ფაკულტეტის ასისტენტია და სასემინარო ჯგუფებს ხელმძღვანელობს.

„ჩემი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი პროფესორი მერაბ ტურავა გახლავთ. რაც შეეხება თემატიკას, ეხება სუბიექტური შერაცხვის პრობლემას. დამნაშავე დანაშაულის ჩადენისას მოქმედებს განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. ჩემი კვლევის ობიექტი სწორედ ის არის, რომ სუბიექტური მხარის ზუსტი დადგენა მოხდეს სამართალგამოყენების პროცესში, რაც დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის საფუძველი უნდა იყოს სისხლის სამართლაში. ყოველივე კი კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებაში იყოფა და სჭირდება თავისი სუბიექტური შერაცხვა. აღნიშნული საკითხი განსხვავებულად არის მოწესრიგებული რომანულ-გერმანული სამართლის სისტემაში, ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში და, აგრეთვე, საინტერესოა საერთაშორისო სამართლის მიხედვით სუბიექტური შერაცხვის პრობლემატიკის კვლევა. შესაბამისად, ზუსტად ზემოთქმული მიმართულებებით ვმუშაობ დასახელებული საკითხის შედარებით-სამართლებრივ ანალიზზე. ამ კუთხით ნამდვილად ვერ შევხვდებით ბევრ კვლევას ქართულ სისხლის სამართლებრივ სივრცეში, ამიტომაც ჩემი მიზანია — რაც შეიძლება სიღრმისეულად და ფართოდ მიმოვიხილო ჩემი დისერტაციით განსახილველი საკითხები. სამართალი „ცოცხალი არსებაა“, მუდმივად საჭიროებს სრულყოფას. დისერტაციის თემა პროფესორ მერაბ ტურავასთან ერთად შევარჩიე და ვეცადეთ, რაც შეიძლება ნოვაციური ყოფილიყო.

გასულ წელს, „ერასმუს+“-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, კვლევითი ვიზიტით ვიმყოფებოდი ესპანეთში — ლა კორუნას უნივერსიტეტში. ნაშრომის ფუნდამენტური ნაწილი მზად მაქვს. მიმდინარე წელს ისევ ვგეგმავ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღებას“, — განაცხადა გიორგი ჩაკვეტაძემ.

იგი აკადემიურ საქმიანობასთან ერთად პრაქტიკული მუშაობის დაწყებასაც გეგმავს, რაც უშუალოდ დაკავშირებული იქნება მის პროფესიასთან, თუმცა, ეს მოხდება მას შემდეგ, რაც დისერტაციას დაასრულებს.

მანონი კურტანიძე

კიდევ ერთი დოქტორანტი — მანონი კურტანიძე — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან წარმატებულია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების კუთხით. იგი უკვე 5 სამეცნიერო სტატიის ავტორია, რომელიც მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში დაიბეჭდა. მანონი კურტანიძე კოლოიდური ქიმიის მიმართულებით მუშაობს. მისი ნაშრომი შებრუნებული მიკროემულსიების მიკროგარემოს კვლევას ეხება. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელია პროფესორი მარინე რუხაძე.

„ზოგადად მიკროემულსიების საფუძველია ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, რომელთა ყველაზე ცნობილი და გავრცელებული გამოყენება უკავშირდება საყოფაცხოვრებო პროცესს, კერძოდ, ისინი გამოიყენება, როგორც სარეცხი საშუალებები. მათ ასევე დიდი გამოყენება ჰპოვეს სამედიცინო სფეროში. მათი სტრუქტურის მსგავსების გამო მიკროემულსიები ბიოლოგიური მემბრანების საუკეთესო ხელოვნური მოდელებია. შებრუნებული მიკროემულსიების გულში ჩაჭერილი წყლის სტრუქტურა კარგად იმეორებს ბიოლოგიური უჯრედის შიგაწყლის, ანუ ბიოლოგიური წყლის სტრუქტურას. სწორედ აქედან გამომდინარე, მიკროემულსიების კვლევა, დღესდღეობით, აქტუალურია. მიკროემულსიების გამოყენების კიდევ ერთი საინტერესო სფეროა მათი გამოყენება, როგორც წამლების გადამტანებისა (ტრანსპორტიორები) ადამიანის ორგანიზმში. ჩვენს ჯგუფს შებრუნებული მიკროემულსიების მიკროგარემოს კვლევა გვაინტერესებს, ანუ მიკროგარემოში სხვადასხვა მინერალური და ორგანული ნივთიერებების მოხვედრა რა ცვლილებებს იწვევს და რა გავლენას ახდენს მიკროემულსიის სტრუქტურაზე. ჩვენი კვლევა უფრო ფუნდამენტური ხასიათისაა და შედეგების გამოყენება სასარგებლო იქნება ნანო ზომის ღრმულებში ჩაჭერილი წყლის, კერძოდ, ბიომემბრანული სტრუქტურების კვლევის სფეროში. თუმცა, ამ კვლევამ, მომავალში, შესაძლებელია, გამოყენებითი ხასიათიც შეიძინოს. ამჟამად მაქვს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების შემოთავაზებები. საზღვარგარეთ პოსტ-დოქტორანტურაში ვგეგმავ კვლევის გაგრძელებას, თუმცა, კონკრეტულად — სად, ამას დოქტორანტურის დასრულების შემდეგ გადავწყვეტ“, — განაცხადა მანონი კურტანიძემ.

რაც შეეხება თსუ-ში არსებულ კვლევით გარემოს, მანონი კურტანიძე, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ამბობს: „რასაკვირველია, სრულყოფილი და თანამედროვე სტანდარტების კვლევების ჩასატარებლად ჩემს სფეროში, კერძოდ, კოლოიდების სფეროში, შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია, ძირითადად, ინსტრუმენტული აღჭურვილობის გამო, თუმცა არსებული მეთოდებით კვლევების ჩატარება, შედეგების გამოქვეყნება და წარმატების მიღწევა მაინც შესაძლებელია.

ქეთი ცომაია

ქეთი ცომაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის — „ტრანსლაციური ბიო-მედიცინა (მიმართულება ჰეპატოლოგია)“ დოქტორანტია. წელს იგი თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად აირჩიეს. მისი სადისერტაციო ნაშრომი ღვიძლის რეგენერაციის ეფექტური გზების ძიებას ეხება.

„ჩემი სამეცნიერო მუშაობა ითვლის ორ წელს. თავდაპირველად გადაწყვეტილი მქონდა მემუშავა ძუძუს კიბოს პრობლემატიკაზე, თუმცა მორფოლოგიის ინსტიტუტთან აქტიური თანამშრომლობის შემდეგ დავინტერესდი ღვიძლის რეგენერაციის პროცესებით და ამ პროცესში ღეროვანი უჯრედების როლით.

ვთანამშრომლობდი პროფესორ დიმიტრი კორძაიასთან ზემოხსენებული სადოქტორო პროგრამის მომზადების პროცესში, ასევე ვმონაწილეობდი სტუდენტებისთვის ისეთი სილაბუსების შექმნაში, როგორიცაა „აკადემიური წერა“ და „სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები“. ამჟამად ვმუშაობ ექსპერიმენტულ კვლევაში, რომელიც ითვალისწინებს ღვიძლის რეგენერაციის გაუმჯობესების ეფექტური გზების ძიებას. კერძოდ, ჩემი სადოქტორო ნაშრომი შეეხება ღვიძლის რეგენერაციის საკითხს ღეროვანი უჯრედების ინექციის ფონზე და მის გარეშე. დღეს დონორთა რიცხვის სიმცირის გამო ღვიძლის ტრანსპლანტაციის საკითხი მწვავედ დგას და, ამასთანავე, მომავალი ღვიძლის რეგენერაციის აქსელერაციასა და ხელოვნური ბიო-ღვიძლის შექმნას უნდა ეკუთვნოდეს. შესაბამისად, ვფიქრობ, ჩვენ მიერ განხორციელებულმა კვლევებმა შესაძლოა თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ღვიძლის პათოლოგიების არსის უკეთ და უფრო სიღრმისეულად შემეცნებაში. ასევე, ვფიქრობ, კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს თანამედროვე ფუნდამენტური და რეგენერაციული ჰეპატოლოგიის გამოწვევებზე პასუხის გაცემას, არსებული სამკურნალო თუ პრევენციული მეთოდების გაუმჯობესებას და ახალი კლინიკური მიდგომების განვითარებას“, — განაცხადა ქეთი ცომაიამ.

ქეთი ცომაია 7 სამეცნიერო სტატიის ავტორია. მისმა მოხსენებამ პროფესორ დიმიტრი კორძაიასთან ერთად, როგორც საუკეთესო მოხსენებამ, ORPHEUS-ის მე-12 საერთაშორისო კონფერენციაზე სპეციალური პრიზი დაიმსახურა (2017 წ.). ახალგაზრდა მკვლევარი ასევე აქტიურად იყო ჩართული თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტისა და ექიმთა ასოციაციის მიერ დაფუძნებული საერთაშორისო ინგლისურენოვანი „peer rei v ewed“ ციფრული ჟურნალის — „Translational and Clinia l Medic ne _ Georgian Media l d urnal“ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაში. იგი დღეს ამ ჟურნალის ტექნიკური რედაქტორის ფუნქციებსაც ითავსებს.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲑᲔᲜ-ᲒᲣᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ (ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ) ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ

საქართველო-ისრაელის ოფიციალურ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს საფუძველი ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინ ჩაეყარა. წლების განმავლობაში ეს ურთიერთობა კიდევ უფრო ღრმავდება, რასაც ორი ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა ამყარებს.

2018 წლის იანვრის ბოლოს ძალაში შევიდა ურთიერთგაგების მემორანდუმი თსუ-სა და ბენ-გურიონის უნივერსიტეტს შორის, რომლის ფარგლებში დაიგეგმა და 10-15 მარტს გაიმართა საერთაშორისო აკადემიური სემინარი ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე.

ნეგევის (ისრაელის სამხრეთი რეგიონი) ბენ-გურიონის უნივერსიტეტი ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი სასწავლო და კვლევითი უნივერსიტეტია, რომელიც ლიდერობს მსოფლიოს უნივერსიტეტებს შორის მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. უნივერსიტეტში 20 000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მისი ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო და სასწავლო სტრუქტურული ერთეულია ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი.

სემინარის ინიციატორი და მთავარი ორგანიზატორი იყო ბენ-გურიონის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, რომლის სპეციალური მოწვევის საფუძველზე ისრაელში გაემგზავრა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთა და სტუდენტთა დელეგაცია.

თანაორგანიზატორობის ფუნქცია შეასრულეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა და სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“.

სემინარის ფარგლებში ქართული დელეგაცია ესტუმრა სარწყავი და საირიგაციო საერთაშორისო კომპანია „ნეტაფიმის“ სათავო ოფისს ისრაელში, სადაც კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა გააკეთა საინტერესო მოხსენება კომპანიის მუშაობის შესახებ. წვეთოვანი სარწყავი სისტემის ტექნოლოგია ისრაელის სოფლის მეურნეობის წარმატების უმთავრესი ფაქტორია, „ნეტაფიმი“ კი ამ სფეროს ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ. შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრებები სოფლის მეურნეობაში წვეთოვანი სარწყავი სისტემის მნიშვნელობისა და საქართველოში მისი წარმატებით დანერგვის შესახებ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

საინტერესო იყო შეხვედრა ბენ-გურიონის უნივერსიტეტის პროფესორებთან, დეკანთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. მათ წარმოადგინეს უნივერსიტეტის განვითარების ხედვა, სტრატეგიები და განხორციელებული პროექტები. მნიშვნელოვანი იყო ბენ-გურიონის უნივერსიტეტის მხრიდან მიღებული შემოთავაზებები სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებით მომავალი თანამშრომლობის თაობაზე.

13 მარტს, სემინარის პროგრამის თანახმად, თსუ-ის დელეგაცია 2 ნაწილად გაიყო.

ბგუ-ის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე გამართულ მრგვალ მაგიდაზე მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორი თეიმურაზ ბერიძე („გარდამავალი ეკონომიკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა — კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები“) და პროფესორი დავით ნარმანია („საქართველო-ისრაელის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა: განვითარების ადმინისტრირება“). დისკუსიაში მონაწილეობდნენ თსუ-ის დელეგაციის წევრები: პროფესორები ე. მექვაბიშვილი, რ. გველესიანი, ე. ხარაიშვილი და ბგუ-ის პროფესორები: ჰ. ბარ-გერა, რ. ბარ-ელი, შ. ჰარტალი, ი. ტურბინერი, ი. შავიტი, ჰ. კათზი, მ. მალული.

თსუ-ის დელეგაციის წევრები: პროფესორები გიორგი შიხაშვილი, იოსებ ხელაშვილი და სტუდენტები გაემგზავრნენ ქალაქ ეილატში, სადაც ბენ-გურიონის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კამპუსი დაათვალიერეს და დაესწრნენ დოქტორ ი. ბელჰასენის პრეზენტაციას, რომელიც ეილატის ტურიზმის განვითარებას შეეხებოდა.

ბენ-გურიონის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო პოლიტიკის და ტურიზმის დეპარტამენტების კოლოქვიუმები, რომლებზეც მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორი ეთერ ხარაიშვილი („სოფლის მეურნეობის განვითარების შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ისრაელში“), პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი („საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალი: თანამედროვეობა და პერსპექტივები“) და პროფესორი იოსებ ხელაშვილი („მდგრადი ტურიზმის განვითარება საქართველოში: პოტენციალი და პრობლემები“). კოლოკვიუმებს ესწრებოდნენ და დისკუსიებში მონაწილეობდნენ ბგუ-ის პროფესორები ფ. იუვალი, ა. შანი, ი. ფორია და თსუ-ის დელეგაციის წევრები.

ამავე დღეს ქართველმა სტუდენტებმა გამართეს პრეზენტაციები, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ბენ-გურიონის უნივერსტეტის პროფესორები, ასევე სტუდენტებიც. ქართველმა სტუდენტებმა მთვარისა ქვრივიშვილმა და მარიამ მჭედლიშვილმა წარადგინეს პრეზენტაცია მიმდინარე პროექტზე ისრაელის ეკონომიკის კვლევის სფეროში („work in progres “). მათ იმსჯელეს სტუდენტური ცენტრ „იდეას“ მიერ ბოლო წლებში განხორციელებულ პროექტებზე, ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე, ასევე გამოითქვა საინტერესო იდეები ბენ-გურიონის უნივერსიტეტში მსგავსი სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ.

ასევე განსაკუთრებით საინტერესო იყო თსუ-ის სტუდენტების ნია თოდუასა და საბა სახვაძის პრეზენტაცია ისრაელის ეკონომიკურ სასწაულებზე. სტუდენტებმა არათუ გამოავლინეს ცოდნა ისრაელის ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, არამედ აღაფრთოვანეს ბენ-გურიონის უნივერსიტეტის საზოგადოება ისრაელის ეკონომიკის დაწვრილებითი ცოდნით და მათ გარკვეული რჩევებიც კი მიაწოდეს.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა ებრაელი სტუდენტებისთვის პრეზენტაცია, რომელიც წარადგინეს თეიმურაზ ჩუბინიძემ, ალექსანდრე ყუბანეიშვილმა და მათე შვანგირაძემ „მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში — წარსული, აწმყო, მომავალი“. მოხსენებამ სტუდენტების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

შეხვედრაზე აგრეთვე იმსჯელეს ცენტრ „იდეას“ მიერ განხორციელებულ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე. გამოითქვა მოსაზრებები ბგუ-ში ანალოგიური სტუდენტური ცენტრის ჩამოყალიბებისა და მომავალი თანამშრომლობის შესახებ.

სემინარის ბოლოს ქართული დელეგაცია გაეცნო მკვდარი ზღვის ქიმიური ქარხნისა და ქალაქ ჰურას სოციალური საწარმოს მუშაობას, აგრეთვე ბედუინთა თემის ცხოვრებას.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ (96/2018, 02.04.2018 წ.) ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ:

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ №1

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყების, მათი შერჩევის კრიტერიუმებისა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.

2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 16 აპრილის 10^{00} საათიდან (მისამართი: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114) და დასრულდეს 2018 წლის 20 აპრილის 18^{00} საათზე (5 სამუშაო დღე).

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ განხორციელდეს 2 ეტაპად:

ა) დოკუმენტაციის გაცნობა — 2018 წლის 23 აპრილიდან არაუგვიანეს 25 აპრილისა;

ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება — 2018 წლის 26 აპრილიდან არაუგვიანეს 30 აპრილისა.

4. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 7 მაისი.

5. დამტკიცდეს სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტისათვის შემდეგი კრიტერიუმები:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

გ) მართვის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

დ) საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება;

ე) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ძირითადი დოკუმენტების ცოდნა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;

ვ) ერთ-ერთი უცხო ენის (სასურველია ინგლისურის) სრულფასოვნად ფლობა;

ზ) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;

თ) ასაკი 65 წლამდე.

6. დამტკიცდეს სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ფოტოსურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4-ზე;

ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ზ) აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის და მართვის გამოცდილების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტები (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

თ) კვალიფიკაციის ამაღლების (გადამზადების) დამადასტურებელი სერტიფიკატების, დიპლომების და სხვა ასლები;

ი) კონცეფცია და წლების მიხედვით დეტალურად გაწერილი სამოქმედო გეგმა;

კ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;

ლ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

უნივერსიტეტი

თსუ-ის სტუდენტების წარმატება საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის სტუდენტებისგან შექმნილმა გუნდმა ვაშინგტონში (აშშ) ფილიპ ჯესაპის სახელობის 59-ე საერთაშორისო სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესზე წარმატებას მიაღწია.

თსუ-ის გუნდი, რომელიც ეროვნულ რაუნდებში მიღწეული შედეგით ვაშინგტონში საქართველოს წარმოადგენდა, 95 ქვეყნის 121 გუნდიდან საუკეთესო 16 გუნდს შორის მოხვდა (ზეპირ გამოსვლებსა და წერილობით კომპონენტში მიღებული ჯამური შეფასების საფუძველზე); ხოლო გუნდის წერილობითი პოზიციის დოკუმენტები (მემორიალები) განმცხადებლისა და მოპასუხის მემორიალების ჯამური ქულით საუკეთესო 20 მემორიალს შორის მოხვდა, კერძოდ გავიდა მე-17 ადგილზე და შედეგად გუნდმა Alona E. Evans-ის ჯილდო მიიღო.

2017 წლის გაზაფხულის სემესტრის დასასრულს, აკადემიკოს ლევან ალექსიძისა და პროფესორ ქეთევან ხუციშვილის ხელმძღვანელობით თსუ-ის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ, ორი საზაფხულო სკოლის ფარგლებში, შეირჩა და მომზადდა საერთაშორისო სამართლის ცნობილი მეცნიერის ჯესაპის სახელობის საერთაშორისო იმიტირებული პროცესების კონკურსში მონაწილე გუნდი. გუნდის წევრები იყვნენ საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტები — გიორგი ბაიძე, ნანუკა ყრუაშვილი და თამთა შამათავა, კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი — ნინო გოშხეთელიანი და მწვრთნელი, დოქტორანტურის სტუდენტი — თამთა ზაალიშვილი.

თსუ-ის სტუდენტებმა ეს გამარჯვება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიუძღვნეს.

„სტუმარ-მასპინძელი“ თსუ-ის სცენაზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თეატრის სხვენი სპექტაკლის სტუმარ-მასპინძელი პრემიერა გაიმართა. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი ერთგვარი ექსპერიმენტია და პანტომიმის, ქორეოგრაფიის, დრამისა და ვოკალის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. დადგმის რეჟისორია გოგი გომურაშვილი, ქორეოგრაფი — პაატა მხეიძე, მხატვარი — თამარ გურგენიძე.

„სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“ არ არის ახალი ქართველი მაყურებლისთვის, მან თითქმის ყველა ქართული თეატრის სცენა მოიარა და შემოიხედა თსუ-ის სცენაზეც. სპექტაკლი მივუძღვენით თსუ-ის 100 წლის იუბილეს. სპექტაკლი არის სინთეზური და წარმოადგენს ექსპერიმენტს, ვინაიდან გავაერთიანეთ პანტომიმა, ქორეოგრაფია, დრამა, ვოკალი. ვნახოთ, რას იტყვის მაყურებელი“, — განაცხადა რეჟისორმა გოგი გომურაშვილმა.

როგორც თსუ-ის სტუდენტმა, მსახიობმა თამარ მირიანაშვილმა აღნიშნა, ახალი სპექტაკლის წარდგენა დასისთვის დიდი პასუხისმგებლობაა და სტუდენტებს წარმატების იმედი აქვთ.

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ თეატრის დასი უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისთვის დააჯილდოვა. „როგორც ყოველთვის, ჩვენი თეატრი ძალიან საინტერესო სპექტაკლებით გვანებივრებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „სხვენში“ ყველა მონაწილე სტუდენტია. ჩვენი თეატრი საკმაოდ სოლიდური ასაკის მქონეა და ისევე, როგორც თსუ, ისიც 100 წლისაა. ცოტა ხანში აღვნიშნავთ ამ საიუბილეო თარიღსაც. ამ პრემიერით გავხსნით დღესასწაულებს, რომელიც მიეძღვნება ჩვენი თეატრის ასწლოვან იუბილეს“, — განაცხადა რექტორმა.

ღონისძიება თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა.

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯაიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ეკა კვიტაშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62
ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge
ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

GARB

1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).